645/3
1959



# საბჭოთა ქალი

№ 8 აგვისტო, 1959 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმის ვაგზლის უფროსი ი. კარბელაშვილი

ფოტო თ. გაბელიასი და ზ. ქაჯაიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნომერშია


...და დარჩა ფოთში კურსკელი

*

ნარკვევი ეთერ ზანდუკელზე

*

ლამაზი ვარდო — მოთხრობა

*

ცისანა მელუა — ლექსები

*

საქვეყნოდ ცნობილი — ნარკვევი

*

ერთი პირველთაგანი

*

ნატალია ფალავანდიშვილი

*

ინდირა განდი — მოგონება

*

ჰუმორი

*

სემინარი მშობლებისათვის

*

კაპიტალის სამყაროში

*

სპორტი ძველ საბერძნეთში

*

კოსმეტიკა

*

მოდები

*

კულინარია




პარაშუტისტი ქალი კლარა ჩაჩიბაია

ფოტო დ. იაკობაშვილის


ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი

№ 8 აგვისტო 1959 წელი

საბჭოთა ქალი

გამოცემის მესამე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ...და დარჩა ფოთში კურსკელი

1942 წელი. იანვარს წვიმები ჰოყვა.

გამოჩნდება ტყვიისფერ ჰორიზონტზე შავი წერტილი, თანდათან გაიზრდება, მოახლოვდება—იციან დაჭრილები მოჰყავთ. გემი ორიოდე საათით შედგება ნავსადგურში, წაიღებს იარაღს, ტყვია-წამალს და ქვანახშირს.

სველია ქარი—სველი და სუსხიანი. ფრთხილად ჩამოყავთ დაჭრილები. კვნესას იკავებს რომელიმე—მაინც ესმის ყურს, შებინტული ჭრილობებიდან მოჟონავს სისხლი, თითქოს ხედავს თვალი ბრძოლებს შორეულ ველებზე—სკდება ყუმბარა და მიწაზე უძრავად რჩება ადამიანი.

დღისით და ღამით შეუსვენებლად მუშაობს ფოთის პორტი, რკინიგზის სადგური. მოდიან ეშელონები, იცლებიან და ზურგში ჰოსპიტლებისაკენ მიჰყავთ დაჭრილები.

ერთ დღეს კი ბავშვებითა და ქალებით, ბოლჩებითა და ჩემოდნებით აივსო პორტის მოედანი. დაღლილი თვალები უსიტყვოდ ჰყვებიან განვლილ სიმწარეზე, მიტოვებულ ადამიანებზე, დანგრეულ სახლ-კარზე. წინ კი გზაა-უცნობი და გაურკვეველი.

ფოთელებმა გაიგეს, ევაკუირებულთა დიდი პარტია მოეყვანათ კურსკიდან. შიოდათ ნამგზავრთ, მშობლიური ალერსი და სითბო აკლდათ.

ყველაფერი გაჩნდა: პური და ღიმილი. ჭერი და კერია. ზოგმა ობოლი იშვილა, ზოგმა ტოლი შეიკედლა, ოჯახში ღვიძლივით მიიღო. საბავშვო სახლებში გაგზავნეს პატარები, კოლმეურნეობებს მიაშურეს ქალებმა. მოზრდილი გოგონებიდან ზოგი ქალაქში დარჩა, ყველამ საქმე გაიჩინა.

პორტში ერთს უარი უთხრეს მიღებაზე. ან ვინ გაიმეტებდა მტვირთავად. სულ რაღაც 17 წელს ითვლიდა, კაფანდარა იყო, მომცრო ტანის. ბავშვურ ხელებში ძალა არ მოსდევდა. უარი უთხრეს და სოფელში წასვლა ურჩიეს—იოლ სამუშაოს მოგცემენო. გოგონამ ჯიუტად გაიქნია თავი. ის იყო წამოსვლას აპირებდა, ვიღაცამ დეპო ახსენა.

ფოთის საორთქლმავლო დეპოში გულთბილად მიიღეს, იოლი სამუშაო გამოუძებნეს, დამხმარე მუშად დანიშნეს. არც უნანიათ, მალე ზეინკალი გახდა, ყველას მოაწონა თავი. ცქვიტი იყო, დაუზარელი. საქმეს მოკიდებდა ხელს, ბოლომდე მიიყვანდა. აუხსნიდნენ, გამეორება არ სჭირდებოდა. დეპოში ყველამ გაიცნო და შეიყვარა ლიდა კაზაჩენკო, ქერათმიანი კურსკელი გოგონა, ვერცხლისწყალივით მოძრავი, ცისფერი თვალებით.

ფრონტს მიაშურეს ახალგაზრდებმა. ორთქლმავლებს დაუბრუნდნენ პენსიონერი მემანქანეები, მაინც არ ყოფნიდათ მუშახელი. ერთხელ დეპოს უფროსმა მიიხმო ლიდა და გოგონას არც გაჰკვირვებია მემანქანის თანაშემწეობა რომ შესთავაზეს.

— შეძლებ. არც ისე ძნელია. მალე ომიც დამთავრდება და ისევ ქალურ საქმეს მოეკიდები.

... გამოუცდელისათვის ძნელი გამოდგა ახალი სამუშაო. დამწვარი ქვანახშირის სუნმა გააბრუა ქალიშვილი. შორიახლო მიდგა გახურებულ ღუმელთან და როდესაც უთხრეს სტენდერიდან სად უნდა ჩაეყარა ნახშირი, გაიფიქრა უარი ეთქვა ამ საქმეზე.

ქუხილი ესმოდა შორიდან, ალი ასდიოდა მშობლიურ მიწას. კურსკის მისადგომებთან სისხლისაგან იცლებოდნენ ვაჟკაცები, მაინც არ თმობდნენ არცერთ მტკაველ მიწას. ქალიშვილს შერცხვა საკუთარი შიშის, თითქოს საყვედურიანი მზერა იგრძნო სანგრებში ჩასაფრებული ვაჟკაცების.

მკლავში ძალა მოემატა, ნიჩაბი ღონივრად მისდო ქვანახშირს, პირდაპირ ღუმელს უმიზნა.

— ყოჩაღ, კარგია. ოღონდ ძალას ნუ დაატან, ცოტ-ცოტა აიღე,—დაარიგა მემანქანემ.

ქშენა დაიწყო ორთქლმავალმა, სადგურის სათადარიგო ლიანდაგიდან დაიძრა შემადგენლობა და პორტისაკენ აიღო გეზი.

პირველი რეისი! პირველი ვაჟკაცური საქმე! მემანქანის თანაშემწემ ღუმელი გაანელა და ორთქლმავლის სარკმელიდან თვალი მოავლო იქაურობას. მუშები შესეოდნენ შემადგენლობას, ცლიდნენ ვაგონებს, ტვირთს ურიკებით გემისაკენ ეზიდებოდნენ. ლიდამ ახლა შეამჩნია, რომ მუშებს შორის ბევრი იყო ქალი. მათი ღონიერი მკლავების შემყურემ კიდევ მეტი ძალა იგრძნო... და საღამოს, როდესაც დაღლილი ლოგინზე მიწვა, დიდხანს, შუაღამემდე ძილი არ მიეკარებია. ფიქრობდა ყველაფერზე,—ადამიანებზე, თავის სამუშაოზე, ხვალინდელ დღეზე.

ლიდამ მალე აუღო ალღო ორთქლმავალს, შეითვისა მძიმე და რთული საქმე. მემანქანეც კმაყოფილი იყო თანაშემწის. ქალია, მაგრამ მამაკაცს როდი ჩამოუვარდებაო,—ხშირად იტყოდა ხოლმე.

1943 წლის ბოლოს კომკავშირის რიგებში მიიღეს, მომდევნო წლის დასაწყისში კი დეპოს ხელმძღვანელობის დავალებით სხვა მემანქანეებთან ერთად ქალაქ შჩორსში გააგზავნეს. ლიდამ გულმოდგინედ იმუშავა შჩორსის საორთქლმავლო დეპოში და წლის ბოლოს ვალმოხდილი დაუბრუნდა ფოთს.

მიწყდა ზარბაზნების ქუხილი. 1945 წელმა მშვიდობიანი შრომის გაზაფხული მოუტანა საბჭოთა ხალხს. ტრაქტორმა პირველი ხნული გაავლო ნაომარ მიწაზე. ნანგრევებიდან ნელ-ნელა წამოიზარდნენ სახლები, დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს ევაკუირებულნი, ზოგმა ნათესავი მონახა, ზოგმა ახალი ფუძე გაიჩინა. ლიდა კაზაჩენკო კი ფოთში დარჩა.

ქალაქი—სადაც შრომითი ცხოვრების გზა დაიწყო, დეპოს კოლექტივი—საკუთარი ოჯახივით ტკბილი და განუშორებელი გამხდარიყო კურსკელისათვის.

* * *

ლურჯ ჰორიზონტზე გამოჩნდება შავი წერტილი, თანდათან გაიზრდება, მოახლოვდება. ფოთელებმა იციან სახალხო ტვირთი მოაქვს გემს. ხოლო ჭიათურიდან, ტყიბულიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდის მძიმეწონიანი მატარებლები. ელმავალი პორტში ჩააყენებს მათ. ამუშავდებიან ცადაწვდილი ამწეები. ცლიან და ტვირთავენ ნაპირზე მომდგარ გემებს, ლიანდაგებში ჩაყენებულ ვაგონებს. სადღაა ძველი, მოუწყობელი სადგური, ხელით სატარებელი ურიკები, ან მცირეტევადობის ვაგონები. ათასობით ტონა ძვირფასი წიაღისეული მოაქვს თვითეულ შემადგენლობას, ათასობით ტონა იგზავნება კომუნიზმის მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.

ახალი ამოცანები დასახა შვიდწლედმა, შრომის ახალი ნორმები შემოიტანა ცხოვრებაში.

ფოთელი რკინიგზელები კარგად გრძნობენ ამ საქმეების სიდიადეს. მეორთქლმავლეებმა გადაწყვიტეს თავიანთი დანაზოგი შეიტანონ რკინიგზელთა ერთმილიარდიან ფონდში, ყოველთვიურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო დავალებები. სწორედ ამ მიზნით ყოველთვე იზოგება გათვალისწინებული საწვავის 3-4 პროცენტი, 0,5 პროცენტით მცირდება ავადმყოფი ორთქლმავლების რიცხვი, იზრდება მათი შეკეთებათაშორისო გარბენა.

... არის ერთი ორთქლმავალი დეპოში—№ 76—36. იგი მემანქანე შ. ახობაძესა და მემანქანის თანაშემწე ლ. კაზაჩენკოს აბარია. დაამთავრებენ სამანევრო ოპერაციებს, დეპოში ჩააყენებენ ლოკომოტივს. ოჯახშიაც საქმეა, სტუმრებს დახვედრა უნდა, მოყვარეს—მოყვრობა. მაგრამ შინ როდი იჩქარის ლიდა, პირველ რიგში ორთქლმავალს უნდა მოვლა, მეორე დღისათვის წესრიგში მოყვანა. დაასუფთავებს ლითონს, დამტვერილ ბორბლებს, ღერძს, საორთქლე ქვაბს. ეტყობა კიდეც მანქანას ქალის ფაქიზი ხელი—მუდამ სანიმუშოა, მუდამ კრიალა.

ასეთ მანქანაზე მუშაობაც სახალისოა,—იტყვიან ხოლმე დეპოელები, როცა შ. ახობაძისა და ლ. კაზაჩენკოს ორთქლმავალს მოკრავენ თვალს. არც ტყუვდებიან—ეხალისებათ მეგობრებს მუშაობა, საწარმოო დავალებებს სისტემატურად 150 პროცენტით ანაღდებენ, საწვავის ეკონომიაზედაც ვერავინ იტყვის მათ სამდურავს. შვიდწლედის პირველი წლის ბოლომდე კაპიტალური შეკეთების გარეშე ივლის მათი ორთქლმავალი, უწუნოდ და უავარიოდ იმუშავებენ თავადაც. 135 პროცენტით შეასრულებენ საწარმოო-საფინანსო გეგმას.

ცხოვრობს ლიდა კაზაჩენკო ფოთში. მისი სახლი ელექტროწევის ქვესადგურის წინაა, დეპოსთან ახლოს. ზის თავის ოთახში, ქარგავს და ფიქრობს.

... ხდება ხანდახან წარსულს გადახედავ და სიამაყით აივსები, თუ მასში რამე გაქვს კარგი, სახარბიელო. ლიდას კი ბევრი აქვს მოსაგონარი, მრავალი სასიხარულო წუთი, ყოველდღიურ შრომასთან დაკავშირებული, შრომიდან გამომდინარე. თუნდაც 1957 წელი. ფოთელმა მშრომელებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს ლიდა კაზაჩენკო, შრომის საზღაურად უდიდესი ნდობა გამოუცხადეს.

... ბიბლიოთეკა, წიგნები, ფიქრი იმაზე, რომ მოვლენ ადამიანები, დეპუტატს რჩევას კითხავენ, სიძნელისას დახმარებას თხოვენ როგორც ამხანაგს, ახლობელს. ლიდა ღამეებს ათენებდა წიგნის კითხვაში, პირნათლად ატარა ხალხის რჩეულის წმინდა სახელი და ამომრჩევლებმაც დაუფასეს ამაგი—მიმდინარე წელს კვლავ აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

მცხუნვარე მზე ანათებს და თბილა, საოცრად თბილა შინ და გარეთ. ოთახში სხვა არავინაა. რადიომიმღები რაღაც სიმღერას გადმოსცემს, სურაზე ნაქარგი ტილოა გადაფარებული, კედლებიდან კი ნათესავები იყურებიან. ფარაჯებში, სამხედრო ფორმაში გამოწყობილან ისინი, რომლებმაც ამ 17 წლის წინათ ლიდა ფოთში გამოისტუმრეს. გამოისტუმრეს და იბრძოლეს მისი ბედნიერებისათვის. იბრძოლეს და მიაღწიეს მიზანს. ამიტომ ანათებს გარეთ მცხუნვარე მზე და თბილა, თბილა საოცრად, შინ და გარეთ.

თ. ანანიაშვილი



**ახალ შვიდწლედში დიდი ცვლილებები მოხდება თბილისის საფეიქრო მრეწველობაში.**

**მრავალი სიახლეა მოსალოდნელი ფაბრიკა „საქტრიკოტაჟში“.**

**შვიდწლედის ბოლოს ფაბრიკა სამი მილიონი წყვილის ნაცვლად 5 მილიონ 450 ათას წყვილ წინდას გამოუშვებს, საგრძნობლად გაიზრდება ტრიკოტაჟის სხვა სახის პროდუქციის დამზადებაც.**

**ფაბრიკაში დაიდგმება წინდის საქსოვი ახალი მანქანები—ერთპროცესიანი ავტომატები.**

**ფაბრიკაში თითქმის ყველა მომუშავე ქალია. ისინი წარმატებით იბრძვიან შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მათ შორის კარგი მუშაობით გამოირჩევა მქსოველი ეთერ ზანდუკელი.**

# ეთერ ზანდუკელის სკოლა

აქ არც მერხებს უსხედან, არც სასკოლო შავი დაფა ჩანს, მაგრამ მაინც სკოლაა. მას მოწინავეთა გამოცდილების სკოლა ჰქვია. მერხებს საქსოვი მანქანა სცვლის, ცარცსა და მელანს—ძაფი. მასწავლებელი? მასწავლებელიც არის და როგორც ნამდვილ სკოლაში—ხსნის, ასწავლის, «ნიშანს» წერს, გამოცდას იბარებს. სწავლას ორ კვირაზე მეტს არ ანდომებენ. გამოცდების დროს ისევე ღელავენ, როგორც მომთხოვნ მასწავლებელთან.

განა ვინ არის მათი მასწავლებელი?

— ეთერ ზანდუკელი, ფაბრიკის მოწინავე მუშა, გამოცდილი მქსოველი. ასეთი დახასიათების შემდეგ ჭაღარაშერეულ დარბაისელ მანდილოსანს წარმოიდგენთ. სრულებითაც არა, იგი ჯერ მხოლოდ 26 წლისაა, ცოცხალი, ენერგიით სავსე. ვინ იცის, რამდენი მოწაფე აღუზრდია, რამდენისათვის გადაუცია თავისი გამოცდილება. ოცისთვის? თვითონაც აღარ ახსოვს. სამაგიეროდ კარგად ახსოვთ მის აღზრდილებს.

აბა, როზა ლევიზაძეს ჰკითხეთ? მან ეთერ ზანდუკელის სკოლა გაიარა და ერთ დროს ჩამორჩენილი, ახლა მოწინავეთა რიგებშია. მარტო როზა ლევიზაძე? სხვებიც.

...პირველი ცვლა მთავრდებოდა. ეთერ ზანდუკელმა უკანასკნელი წინდა ჩამოხსნა მანქანიდან. ყველა სახლში წასასვლელად მოემზადა, ეთერს კი სხვა «სამუშაო» ელოდა, მას უცდიდნენ მოწაფეები, რომლებიც მეორე ცვლაში მუშაობდნენ. აგერ, მერი ქართველიშვილი შემოვიდა, ეთერს მიესალმა და მანქანასთან მივიდა.

— როგორ ფიქრობ, მერი, დღეს შესძლებ მანქანის დამოუკიდებლად გაწყობას?

— ვეცდები,—მიუგო გოგონამ.

სანამ მერი ნედლეულს იმარაგებდა, სხვა მქსოველებმაც მოიყარეს თავი. წამით მიწყნარებული საამქრო კვლავ ახმაურდა. გოგონები ერთმანეთში საუბრობდნენ, ერთი მქსოველი ხმადაბლა უყვებოდა მეორეს: «ეს ორი დღეა ჩემი ქვეოსტატი ჩამაცივდა, ნელა მუშაობ, გინდა თუ არა აუჩქარეო, მე კიდევ გული მომივიდა და მკვახედ მივახალე: ზანდუკელი ხომ არა ვარ,—რომ ჩქარა ვიმუშავო მეთქი. ზანდუკელი თუ არა ხარ, იმის სკოლაში ხომ დადიხარო.»

ეთერმა ჩამოიარა, ზოგს გამოელაპარაკა, ზოგს საქმის შესახებ ჰკითხა, ზოგს—სწავლის.

— ემა, აბა, დაუკვირდი,—მიმართა ზანდუკელმა მარტიროსიანს, — შენ დღესაც სწორად ვერ გადაიტანე სავარცხელი ნემსებზე და იმიტომ გაგიძნელდა მანქანის ჩართვა. მიყურე, როგორ უნდა,—ეთერიმ ჩვეული სიმარდით ჩამოაცვა ლასტიკი სავარცხელს, ელვის სისწრაფით გადაიტანა მანქანის ნემსებზე, და მანქანა ჩართო. მისი ხელები ისე ზუსტად და მოქნილად მოძრაობდნენ, ისე სწრაფად და ოსტატურად, რომ მანქანის განუყრელი ნაწილი გეგონებოდათ. ტყუილად როდი ამბობენ, თითებიდან ნაპერწკლები სცვივაო. მეტად მახვილი მხედველობაა საჭირო, რომ თვალით უჩინარ ნემსს ისე ჩამოაცვა წინდის ყელის თვითეული ძაფი, არცერთი არ ასცდეს, არცერთი არ შეგეშალოს, თან როგორი სისწრაფით. სხვა თუ მანქანის გაწყობას 10—15 წამს ანდომებს, ეთერ ზანდუკელს 5 წამიც ჰყოფნის და დღეში 60 წყვილი წინდის ნაცვლად 110—120 წყვილს ქსოვს. ამიტომ გადაწყვიტა მან შვიდწლედის ექვს წელიწად-

ში შესრულება. ზანდუკელი ახლა 1960 წლის ანგარიშში მუშაობს.

ემა გაოცებული უყურებდა მასწავლებელს და უკვირდა მისი სისწრაფე. გულში ფიქრობდა—მე ვერასოდეს ვერ შევძლებ ასე მუშაობასო.

ეთერი თითქოს მიუხვდაო, გაამხნევა. მას თვალწინ დაუდგა თავისი ოსტატი მარიამ მერაბიანი, გაახსენდა მისი სიტყვები, ხშირად რომ იმეორებდა ხუმრობით: «ერთი ამას უყურეთ, განა იმიტომ შევასწავლე ხელობა, რომ მე გამისწროსო.»

გასწრებით კი მართლა გაუსწრო თავის მასწავლებელს. თვეც არ იყო გასული, ისე დაეუფლა ხელობას, რომ მალე მეორე მანქანაზე მუშაობაც მოითხოვა. ორ მანქანაზე? მერე განა მოერევა ორ მანქანას? მაგრამ რა იცოდნენ, რომ საჭიროების დროს ეთერს მესამეზეც შეეძლო მუშაობა, ვინმე რომ ავად გახდებოდა, ეთერი ენაცვლებოდა...

ფიქრები მოიშორა, ახლა ეკატერინა საპეგასკენ გადაინაცვლა:

— ყოჩაღ, კატია, ყოჩაღ, აი ასე უნდა, ჯერ რამდენი მოქსოვე?

— 59 ცალი.

ეს ქალიშვილი მოსკოველ მეგობარს ეკატერინას ახსენებდა. რა გულთბილად მიიღეს მაშინ თბილისელი სტუმრები, როცა თბილისის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მოწინავე ფეიქრები გამოცდილების შისაღებად მოსკოვსა და ლენინგრადში გაემგზავრნენ.

არასოდეს დაავიწყდება ეთერს ლენინგრადის ფაბრიკა «კრასნოე ზნამია» და მოსკოვის მოგილოვის ფაბრიკა. მათი ვეებერთელა, ნათელი საამქროები, გაკრიალებული იატაკი.

რა კარგ წინდებს ქსოვდნენ, სულ იმას ფიქრობდა, თბილისში რომ დავბრუნდები, უსათუოდ მეც ასეთი უნდა მოვქსოვოო. ყველაზე საინტერესო კი მათი მუშაობა იყო. თვალს ვერ აშორებდა, ხან ერთს აკვირდებოდა, ხან მეორეს. ერთ დღეს უთხრეს, აბა, ერთი შენი ოსტატობაც გვაჩვენეო და მანქანასთან მიიყვანეს.

...გაოცდნენ, არ მოელოდნენ ასეთ სისწრაფეს, მოქნილობას.

თბილისში დაბრუნებულმა ფეიქრებს მოსკოველთა მუშაობის მეთოდი—წინდის ყელის სავარცხელზე სწრაფად ჩამოცმა გაუზიარა.

სწორედ მაშინ ჩააბარეს ეთერ ზანდუკელს მოწინავეთა გამოცდილების სკოლა...

გადის დღეები... ზანდუკელის მოწაფეები გამოცდას აბარებენ და მოწინავეთა რიგებში დგებიან.

ეთერი კი კვლავ თავიდან იწყებს...

...აქ არც მერხებს უსხედან, არც საკლასო შავი დაფა ჩანს, მაგრამ მაინც სკოლაა, ეთერ ზანდუკელის სკოლა.

**ლამარა კარგარეთელი**

[illegible] — შვიდწლედისათვის მებრძოლები

# ლამაზი ვარდო

**ს. მანველიანი**

მხატვარი ზ. ლეჟავა

(ციკლიდან „აჯლაბარი“)

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

ასე ეძახდნენ ძონძებში გახვეულ გლახას, რომელიც დილიდან საღამომდე უმიზნოდ დაეხეტებოდა ხოჯევანქის ღვთისმშობლის ეკლესიის გარშემო, ანდა უბანში გამოვიდოდა და მთვარეულივით დაბორიალობდა ნაგვითა და ჭუჭყით სავსე ვიწრო ქუჩებში, შესახვევებსა და ჩიხებში, გამვლელებს წინ აეტუზებოდა და მუქარით მიმართავდა:

— ვთქვა?..

— რა უნდა თქვა ვარდო? თქვი, რაღა, რაც სათქმელი გაქვს, ლამაზო ვარდო!—ეუბნებოდა ხალხი, განსაკუთრებით კი ბავშვები, რომლებიც ყოველთვის უკან დასდევდნენ მას.

— სუ.., სს...—წაიჩურჩულებდა იდუმალი ხმით, გაიღიმებდა, სახე გაუნათლდებოდა, ერთი წამით დაფიქრდებოდა, გაიღიმებდა, ტაშს შემოჰკრავდა და გაიქცეოდა.

ვარდოს სახელს სიტყვა «ლამაზი» სრულიად უბრალო მიზეზით წაუმატა ხალხმა. იგი ერთ დროს მართლაც თვალწარმტაცი სილამაზის ქალი ყოფილა. ამბობდნენ, შეუძლებელი იყო გულგრილად მისი გვერდის ავლაო. მნახველს პირველსავე შეხედვაზე ხიბლავდა მისი წვრილი და მორკალური წარბები, შავსა და ხშირ წამწამებში მიმალული ფირუზისფერი თვალები, პატარა ვარდისფერი ზაგის გადაღმა მოელვარე კბილები. ტანადი იყო, ნაზ ბეჭებზე შავი, მაჯისსიმსხო ნაწნავები დასთამაშებდა. ტანზე, ჩვეულებრივ, ჩითის კაბა ეცვა და ისიც ალაგ-ალაგ ამოქსილი, მაგრამ ეს ძონძები ვერ ფარავდა ქალწულის ტანის სილაღეს, მოყვანილ ნაკვთებს.

ახლა კი... ახლა ადრინდელი სილამაზის აღარაფერი შერჩენოდა, რადგან რამდენადაც ლამაზი იყო ვარდო, იმდენად უბედური და უმწეო. ადრინდელი ბრწყინვალება და დიდებულება დაჰკარგოდა, პირისახე ნაადრევად ჩამოხმობოდა, კანი ჩაშავებოდა და მთლად დანაოჭებოდა. ერთდროს მომხიბვლელი თვალები ღრმად ჩასცვენოდა და ჩაჰქრობოდა, წარბ-წამწამი მთლიანად გასცვენოდა.

დიაღ, შეშლილი იყო ვარდო, მაგრამ ისეთი კი არა, თქვენ რომ გგონიათ? იგი არავის არ ერჩოდა, არ სცემდა, არ ლანძღავდა, არ ემანჭებოდა, არ ეგრიხებოდა. უაზრო სიცილ-ქირქილი რომ არა, მას სულელად ვერავინ მიიჩნევდა. ქალი თავისთვის, ჩუმად და შეუმჩნევლად ცხოვრობდა.

* * *

ვარდო ადრე დაობლდა, თითქმის სიყრმეში დაჰკარგა მშობლები... მამა პირველ იმპერიალისტურ ომში დაეღუპა. დედა კი ყვავილმა დაუბრმავა. ბავშვი დედასთან ერთად დადიოდა ავლაბარში და მათხოვრობდა. ბოლოს ერთმა მდიდარმა, ბაზაზ ღლომ მისი შვილად აყვანა გადაწყვიტა. ვარდოს დედა, რომელსაც ოცნებაც კი არ შეეძლო ასეთ ბედნიერებაზე, სიხარულისაგან ატირდა.

— დიდება შენდა, ღმერთო, ჩვენთვისაც რომ მოიცალე...

უბედურ დედა-შვილს ცხოვრება ოდნავ შეუმსუბუქდა, მაგრამ მდიდარმა დაარღვია თავისი პირობა. უშვილო ცოლ-ქმარი ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ მთელი მათი ცხოვრება ვიღაც მაწანწალა გოგოს დარჩენოდა და შვილად აყვანის ნაცვლად ვარდო მოახლე გოგოდ გაიხადეს.

— ვარდო, წისქვილში წადი,—უბრძანებდა ბაზაზის ცოლი,—და ზურგზე ფქვილის პარკმოკიდებული გოგონა ქაქანით შეუდგებოდა სირაჯხანის აღმართს.

— ვარდო, ხალიჩა გარეცხე...—და მხარზე მძიმე ხალიჩა გადადებული გოგონა ხვეულ კიბეებზე ჩამოდიოდა.

— ვარდო, მაფრაშა შეკარი... ვარდო, წადი, სარეცხი დარეცხე, ცეცხლი დაანთე, პური მოზილე...

ბაზაზის ცოლი ფლორა, ბოროტი ადამიანი იყო. სულით და სახით მახინჯი ქალი დაუსრულებლად სტანჯავდა, სცემდა და ლანძღავდა ვარდოს, ყოველნაირად ცდილობდა მის დამცირებას.

— წელი მოგწყდება, მშიერო, მშივრის შვილო, კარგად რომ მოსრისო სარეცხი?—წიოდა იგი ცივი, ყურის წამლები ხმით და თან სველი სარეცხით სცემდა სახეში გოგონას,—გვარიშვილობა ჩამოგერთმევა, ჰა?...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველივე ამას ერთი უბედურებაც დაემატა: ქალბატონმა ეჭვიანობა დაიწყო.

— მოწიფული გოგოა, საღამოობით სახლში წავიდეს, დედასთან იწვეს,—უთხრა მან ქმარს და ბოროტად გადაუბრიალა თვალი მოახლეს.

ამის შემდეგ ყოველ საღამოს მძიმე შრომით ქანცგაწყვეტილი ვარდო სახლში ბრუნდებოდა, გულში კი უხაროდა, აქამდე თუ კვირაში ერთხელ დადიოდა დედის სანახავად, ახლა შეეძლო თავისი წილი ლუკმა ავადმყოფი დედისათვის გაეყო და მთელი ღამე მის ფეხებთან მოკუნტულიყო.

დღისით კი ბაზაზი არ უსვენებდა. იგი გოგონას სიმორცხვით და წყნარი ხასიათით სარგებლობდა და როგორც კი ცოლს სახლიდან გაიგულებდა, ვარდოს თავის კაბინეტში დაუძახებდა, ხილითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდა.

ეს ამბავი რამდენჯერმე განმეორდა. ვარდო უჩვეულოს ვერაფერს ხედავდა ამაში და უხაროდა ბატონის გულკეთილობა და ხელგაშლილობა, მაგრამ როცა ბაზაზი უცნაური ვნებითა და მხურვალედ მოუფათურებდა ხელებს ათქვირებულ მკერდზე, ან უჩქმეტდა, საშინელი წინათგრძნობა შეუკუმშავდა გულს ვარდოს. იგი შემოდგომის ფოთოლივით თრთოდა და ჩურჩულებდა:

— რას შვრებით, აღა?

მხეცური ჟინი ძლიერდებოდა, ზავთდებოდა და იშლებოდა. ახლა ღალო ყველა ღონეს ხმარობდა გოგონას დასამშვიდებლად, სხვადასხვა საჩუქრებსა და ფულს პირდებოდა.

გაიარა დრომ, ვარდო ივსებოდა, ლამაზდებოდა,

მალე ვარდომ ბაზაზის რჩევითა და ექიმბაშის დახმარებით მეორე დანაშაული ჩაიდინა.

დედის წყევლამ, ოჯახის დაღუპვამ, განსაკუთრებით კი თავს დატეხილმა უბედურებამ განუკურნავი ჭრილობა დააჩნია ვარდოს ნორჩ სულს. დედამ ვეღარ აიტანა ახალი დარდი და გარდაიცვალა, ბედისანაბრად დატოვა ერთადერთი შვილი.

ამ დღიდან ვარდო ხოჯევანქის სასაფლაოს შეეჩვია. დაემხობოდა დედის საფლავზე და ქვითინებდა. ბევრჯერ ტირილით დაღლილს იქვე ჩაეძინებოდა. დარდმა და შიმშილმა ქანცი გაუწყვიტა ახალგაზრდა ქალს. ღატაკი იყო, მაგრამ სამოწყალოდ ხელის გაშვერას მაინც ვერ ბედავდა, თავმოყვარეობა ბორკავდა. მე ხშირად მინახავს იგი ეკლესიის კარებთან ატუზული, თავჩაღუნული, დარდიანი და განადგურებული, თვალებზე ცრემლით, გალურჯებულ ტუჩებზე ლოცვაშეყინული.

მისი გარეგნობა, მომხიბლავ სილამაზესთან ერთად მოკრძალებით აღსავსე საცოდავი გამოხედვა, უყურადღებოდ არ რჩებოდა კეთილ ხალხს და ხშირად მას უფრო მეტი დაუგროვდებოდა, ვიდრე სხვა გლახაკებს. მაგრამ ვარდო სხვა მათხოვრებივით როდი ინახავდა ფულს, მაშინვე სხვებს დაურიგებდა, თვითონ კი რამდენიმე გროშს დაიტოვებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი ყოველ გლახაკსა და ღარიბს უყვარდა, ჩრდილივით დასდევდნენ უკან და ვარდოს სიტყვა კანონი იყო მათთვის.

— ვარდოჯან, თავს გაუფრთხილდი, არ გა-

ცივდე,—ეუბნებოდნენ მას, როცა ძონძებში გახვეული ქალი სიცივისაგან აკანკალდებოდა.

— სახეზე ფერი არ გადევს, მშიერი ხარ?

— გულს დარდს ნუ შეაჭმევინებ, გენაცვალე, ილაპარაკე, დარდი ქარს გაატანე...

— ვაი შენი ბრალი, ვარდოჯან, განა ღმერთი არ ხედავს შენს ლამაზ სახეს?..

და აი ბედმა გაუღიმა ვარდოს. ბაზაზ ღალოს დავალებით მღვდელმა ხოჯევანქის მომვლელად აიყვანა ქალი. პირველ ხანებში ქალიშვილი საქმეებით გაერთო, მტვერს წმენდდა, ასუფთავებდა, წმინდანების ხატებს უვლიდა, შანდლებს ამზადებდა, ამბიონს უვლიდა, მერე პატარა მაგიდასთან დაჯდებოდა და სანთლებს ჰყიდდა.

ვარდო, რომელმაც ეჭვითაც კი არ იცოდა, რომ ეს სამუშაო მას ბაზაზმა უწყალობა, თანდათან შეეჩვია თავის ხვედრს, ნელნელა მიჰყვა ცხოვრების დინებას.

— ნუ გეშინია, შვილო, ეკლესია არ გასწირავს თავის თვინიერ ბატკანს,—აიმედებდა სულიერი მამა, რომელმაც ყველაფერი იცოდა.

ამბობენ, უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო. ის-ის იყო სული მოითქვა ვარდომ და ცხოვრებამ ახალი ლახვარი მოუმზადა.

ეს მოხდა ერთ კვირა დღეს, როცა ბაზაზი ღალო ცოლით მოვიდა ეკლესიაში საღამოს ლოცვის მოსასმენად.

— როგორა ხარ, ვარდოჯან, ხომ კარგად?— გაისმა ქალბატონის დამცინავი ხმა. ბაზაზის ცოლმა ყველაზე იაფფასიანი სანთელი იყიდა და ირიბად გადახედა ქმარს, შემდეგ დაუმატა:—ჩვენით ხომ კმაყოფილი ხარ. ხედავ რა ადგილი გიშოვეთ?..

ამის გაგონებაზე ვარდო ელდანაკრავივით წამოვარდა, გაწითლდა და თავი ჩაჰკიდა. ასე იდგა ლოცვის დამთავრებამდე, ზოგჯერ წარბებქვეშიდან თუ გახედავდა «მზრუნველებს».

ცოლ-ქმარი ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქილიყვნენ და განუწყვეტლივ ისახავდნენ პირჯვარს. ლოცულობდნენ, ყოვლისშემძლეს შესთხოვდნენ ერთი შვილი მაინც ეჩუქებინა მათთვის. ვარდომ შეამჩნია: ბაზაზმა მისკენ გამოიხედა, თვალი ჩაუკრა და ეშმაკურად გაუღიმა. უცბად მიხვდა რაც გაიფიქრა ამ ქონის გროვამ, მიხვდა და ამიტომ მისდამი საშინელი მძულვარებით აივსო, ენით უთქმელი ზიზღით შეხედა სანთლის შუქზე ალაპლაპებულ ბაზაზის მელოტ თავს. როცა ღალომ ერთხელ კიდევ მოჰხედა, ვარდო სიბრაზით ჩაეჭიდა მაგიდის კიდეს და შეხედა მოციახციახე სანთლებს. უნდოდა ხელი ეტაცა ამ ოქროცურვილი შანდლებისათვის და ბაზაზისათვის თავში ეთხლიშა. წინ წაიწია, კიდეც, მაგრამ რაღაცამ შეაკავა, რაღაცას მიაშტერა თვალი, წირვის დამთავრება მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა მის მაგიდასთან ჩავლილმა ფლორამ მიაძახა—კარგად იყავი, ვარდოჯან, კარგად იყავი...

ვარდოს მისთვის არც შეუხედავს, არ დაუნახავს მისი სახის გამომეტყველება, მხოლოდ ღალოს გახედა ისეთი თვალით, თითქოს ისრები დაუშინა მის სამად დაკეცილ კისერს.

* * *

შემოდგომის ღრუბლიანი და ცივი საღამო იყო.

წირვა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ვარდო ხოჯევანქის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში შევიდა. ქალს უაზრო გამოხედვა ჰქონდა, ჭუჭყიანი თმები გაჩეჩოდა, ნახევრადტიტველსა და ფეხშიშველს, გულზე პატარა ბოღჩა მიეხუტებინა. ეკლესიის კარებთან არც კი იყო მისული, რომ გოგო-ბიჭების გუნდი შემოესია. ვარდო დიდიხანია აღარ ყოფილა ეკლესიაში, მას შემდეგ, რაც თავის ყოფილ «მზრუნველებს» შეხვდა აქ.

— ეს რა გაქვს ვარდო?—მიმართა ერთმა ბიჭმა და ბოღჩას წაავლო ხელი.

— რა გაქვს, რა?—ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— სსს, სძინავს,—გააფრთხილა ქალმა და რატომღაც შეშფოთებით მიმოიხედა ირგვლივ.

— ვისა სძინავს, ლამაზო ვარდო?..

— გითხრათ, ჰა?..

— თქვი, თქვი...—შეეხვეწნენ ბავშვები.

ვარდომ გალურჯებული, დახეთქილი ტუჩები მიუახლოვა ერთ-ერთ გოგონას და წასჩურჩულა: ღალომ, მაშ, ბაზაზ ღალომ... მოგკლავ, რომ წამოგცდეს,—თვალები ბოროტად გადაუბრიალა, ტუჩებზე თითი მიიფარა, და მოკლე სწრაფი ნაბიჯებით შევიდა ეკლესიაში.

ვარდოს ყურადღება არ მიუქცევია მლოცველებისათვის და იქით გასწია, სადაც ბაზაზი და მისი ცოლი დაჩოქილიყვნენ. წინათგრძნობამ ღალო უკან მოახედა. მაშინვე შეამჩნია ვარდო, თვალი მოჰკრა ბოღჩას და შეშინებულმა ცბიერი, ორაზროვანი მზერა ესროლა. ბაზაზს აოცებდა ეს ბოღჩა, რომელიც ვარდოს გულში ჩაეკრა, აოცებდა ქალის თვალებში აელვარებული ნაპერწკლები. თითქოს ვარდოს თვალებში, ოდესღაც ფირუზისფერი ტბების ნაცვლად ცეცხლი ელავდა, ეს ცეცხლი სწვავდა და ხრუკავდა ყველას და ყველაფერს, რაზედაც ქალი მზერას მიაჩერებდა. ღალო გვერდშექცევით იდგა და თვალს არ აშორებდა ქალის მოძრაობას. მან ცოლის შეუმჩნევლად ჯიბისაკენ წაიღო ხელი და ტკაცუნა ქაღალდის ფული გაუწოდა მოახლოებულ ვარდოს.

— ვთქვა? — დაიკივლა ქალმა, შემდეგ სწრაფად გახსნა ბოღჩა, რაღაცა ესროლა ღალოს სახეში და კარისაკენ გაიქცა. ვერავინ გაიგო მისი მუქარა, ვერც ის დაინახეს თუ რა მოხდა. მხოლოდ ბაზაზის ცოლმა იკივლა და გულწასული დაეცა იატაკზე.

ვიღაცამ თვალი მოჰკრა ვეზერთელა შავ კატას, რომელიც ეკლესიის კარებში გაძვრა და გაუჩინარდა. ღალო კი გაშტერებული იდგა ეკლესიაში და შავი ღაქღაქა ლოყებიდან სისხლი სდიოდა,

იმავე დღეს ავლაბარში ხმა დაირხა: მიქელგაბრიელს ბაზაზის და მისი ცოლის დასასჯელად კატის სახე მიუღია და ხოჯევანქის ღვთისმშობლის ხატიდან გადმომხტარაო.

ამის შემდეგ ვარდო ეკლესიაში აღარავის უნახავს.

...ერთხელ ორთაჭალის ბაღებთან მტკვარმა ვიღაც ქალის ცხედარი გამოაგდო ნაპირზე. ქალს გრძელი შავი თმები გასჩეჩოდა, ნახევრად ღიად დარჩენილი ფირუზისფერი თვალები ცისთვის მიეპყრო, გალურჯებულ ტუჩებს იქით კი თეთრი კბილები მოუჩანდა.

ასე ამბობდნენ: ბაზაზ ღალომ უკანასკნელი სამსახური გაუწიაო ვარდოს.

სომხურიდან თარგმნა

მარიამ ბინიაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხანა მელუა

## მე გაზაფხული ვარ

იღვიძებს თბილისი...
ტაშს უკრავს ჩიტები,
ტუჩს ხსნიან კვირტები,
რა მალე ვიზრდებით.

მე გაზაფხული ვარ,
ამ კვირტის მაყარი,
იმ კვირტის მესტვირე,
ცა ლაჟვარდნაყარი.

რა კარგი დილაა...
რა წმინდა ცა არის,
ცხოვრება ზღვა არის...
მეც ტალღა პატარა
თუ მიწის ნაცარი.

თუ დამაკვირდები,
მე გაზაფხული ვარ,
იმ კვირტის მესტვირე,
ამ კვირტის მაყარი...

* * *

შენ არ გინახავს
გაზაფხულზე გურიის მთები..
ჩემი მიწის შხაპუნა წვიმა,
ჩემი მინდვრის ლამაზი ცრემლი,
ჩემი ზეცის მაისის დილა...
შენ არ გინახავს
გაზაფხულზე გურიის მთები...

* * *

რა ახლოს იყავ,
შენი ხელები რა ცივი იყო...
რა ვქნა რომ მიყვარს,
და მას ეკუთვნის ამ გულის სითბო...

რაც არის, არის ...
გემუდარები ნუღარ გამიფუჭებ
დაწყებულ სტრიქონს...
ნუ მიყურებენ შენი თვალები,
არ გინახივარ, ძვირფასო, თითქოს...

# საქვეყნოდ ცნობილი

* * *

ხელმოცარული ოჯახის დედა მარიამი სოფელ წინანდალში მდიდარი მეღვინის სახლში ხელზე მოსამსახურედ იდგა. მიწა და ვენახი საკუთარი არ გააჩნდა, აბა რითი ერჩინა ორი წამოზრდილი გოგო — კეკე და ოსანა ან თავი?!

მთელი დღის დამამცირებელი, დამქანცველი შრომის შემდეგ წინსაფარში გამოხვეული გამხმარი პურებით ბრუნდებოდა დედა შინ, ნაწილს კეკეს და ოსანას მოუტეხავდა, ნაწილს შეინახავდა — ვინ იცის, იქნებ ჩვენზე გაჭირვებული ,მოგვადგეს კარსო.

ერთ დღეს სოფელში სომეხი ვაჭარი გამოჩნდა. ფარჩა-აბრეშუმს ჰყიდდა, თან ქალებს აბრეშუმის ჭიის თესლს აძლევდა — გაზაფხულის სითბოზე გაცოცხლდებიან, თუთის ფოთლით კვებეთ და როცა პარკს აახვევენ, მე მომეცით, სამაგიეროდ საკაბეებს მიიღებთო.

ამ პირობით აიღო მარიამმა ჭიის თესლი, რა ვქნა, მოვუვლი, იქნებ გოგოებს დახეული კაბები გამოვუცვალოო.

დადგა 1915 წლის გაზაფხული.

მარიამმა როგორც იქნა გააცოცხლა ჭიები, ხან ოსანასაც იშველიებდა, თუთის ფოთოლი მიუყარე. ცაზე რომ ვარსკვლავები გამოჩნდებიან, აღარ დაუყარო, — ცოდვააო. თან ჰპირდებოდა, თუ მოუვლი და პარკს აახვევინებ, შემოდგომაზე ახალ კაბას ჩაიცვამო.

სამოც დღეში ჭიამ პარკი აახვია. ოსანამ საკაბე მიიღო.

* * *

მარიამს ქალიშვილები წამოეზარდნენ.

ნათქვამია, ბედნიერება ერთხელ საწყლის ოჯახშიც შეიხედავსო. მარიამმა ოსანა ქისტაურელ აბელა აივაზაშვილს მიათხოვა. სასიძო არ ჩანდა ურიგო ბიჭი, ჩაცმულიც კარგად იყო. რაც მთავარია, შრომის სიყვარული სიმდიდრედ ჩაუთვალეს და ქორწილი გააჩაღეს.

მარიამმა შავი დღისთვის შემონახული ორიოდე გროში ქალიშვილის პატარა ქორწილს მოახმარა.

სიძესთანაც გაიწყო პურ-მარილი, დილამდე გაგრძელდა ლხინი.

შეიქმნა ოჯახი...

ოჯახიო ვამბობთ, თორემ რა ოჯახი იყო — პატარა ფიცრული ბეღელი, სკამის მაგიერ — ხის გადანაჭერი, საწოლის მაგიერ — უბრალოდ გაწყობილი ფიცრები, ერთი ხელი ლოგინი და მცირეოდენი ჭურჭელი... არც ოთხფეხი, არც ფრინველი, არც ვენახი...

ქორწილის მეორე დღეს ქოხს ათიოდე წლის ბიჭი მიადგა:

— ძია აბელ, მამამ ჩემი ტანსაცმელი გამომიგზავნეო.

აბელმა შემოიხსნა სარტყელი, გაიხადა უზისმასრებიანი ქულაჯა, ჩექმები, გაახვია და ბიჭს გაატანა.

ატირდა პატარძალი...

აბელა მოჯამაგირედ გაურიგდა ვიღაცას.

ოსანას ხელიდან არაფერი გამოსდიოდა. ერთადერთი აბრეშუმის ჭიის მოყვანა იცოდა და ისევ ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. პარკს ჰყიდდა, მაგრამ ვერაფერ შემოსავალს იღებდა.

ამ დროს ქვეყანაზე რა ამბები ხდებოდა არც მეაბრეშუმე პატარძალმა იცოდა, არც მოჯამაგირე სიძემ. ერთ ბედნიერ დღეს კი მათ ყურამდეც მიაღწია ახალმა ამბავმა: კულაკობა ისპობა, მიწები ღარიბებს მიეცემათო.

ნათქვამი გამართლდა.

ჩამოყალიბდა კოლექტივები. ღარიბებს საკარმიდამო მიწები დაურიგეს.

აბელა დღე და ღამე შრომობდა, მეუღლე მხარში ედგა და გაივსო ბეღელი პურით, მარანი — ღვინით.

* * *

ყოველ გაზაფხულზე ოსანას თვითონ გამოჰყავდა მური და ურიგებდა კოლმეურნე ქალებს. ორი თვე სჭირდებოდა ჭიის პარკის მიღებას.

ერთ დღეს რაიკომიდან კაცი მოვიდა, ერთერთი კოლმეურნე ქალი მეაბრეშუმეობის კურსებზე უნდა გავგზავნოთო.

სოფელმა ოსანა დაასახელა.

...შინ დაბრუნებულმა კურსებზე ნასწავლი მეზობელ ქალებს გაუზიარა.

იმ წელს საუკეთესო შედეგს მიაღწიეს. ჭია 40 დღეში გამოკვებეს. პარკის მოსავლიანობა და ხარისხი გააუმჯობესეს.

* * *

გაზაფხულის თბილი საღამო იყო, მაგრამ ოსანას სახლში ღუმელი ენთო. ოსანას იმ ღამეს ჭიის მური უნდა გამოეყვანა.

განთიადისას მურმა მასიურად დაიწყო გამოსვლა. მან ჩვეულების წინააღმდეგ მურს რამდენჯერმე დაუყარა ფოთოლი, მეორე ღამესაც განუწყვეტლივ აძლევდა საკვებს და ჭიამ ორ დღეში კანი გამოიცვალა, ადრე კანის გამოცვლას 5—6 დღე სჭირდებოდა.

ორ დღეში კანის გამოცვლა არავის სჯეროდა... ოცდამეხუთე დღეს ოსანამ რაიონის ხელმძღვანელობას აცნობა პარკის მიღება.

მეორე წელს ქისტაურელმა მეაბრეშუმეებმა 23—24 დღეში დაამთავრეს ჭიის გამოკვება, მალე ოსანამ მეთვრამეტე დღეზე მიიღო პარკის ნიშანი.

* * *

ლენინის ორდენოსანი, სტალინური პრემიის ლაურეატი, თბილისის მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოსანა აივაზაშვილი ახლა 54 წლისაა. ახალგაზრდული ენერგია, ძალა და შრომის სიყვარული ჯერაც არ მოჰკლებია. გასულ წელს მისმა რგოლმა რვა კოლოფი აბრეშუმის ჭიის მური გამოკვება, გეგმას 743 კილოგრამით გადააჭარბა. პირადად მან 40 გრამი მურიდან 19 დღეში 117,2 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი მიიღო.

მარტო აბრეშუმის ჭიის მოყვანა როდი ემარჯვება ოსანას, გასულ წელს ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესი დაამუშავა და 28 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად 60 ცენტნერი მოიყვანა.

ქისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მეაბრეშუმეთა ჯგუფი შექმნა. კომკავშირელებმა ნინო ბერიაშვილმა, მარგო და ალბერტი ალექსანაშვილებმა, დიმფერდი საკაშვილმა ბევრი რამ შეიძინეს დეიდა ოსანასაგან, საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ჭიის გამოკვებაში და სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის უფლება დაიმსახურეს.

* * *

ორსართულიანი ქვიტკირის სახლი. კოპწია ქართული ეზო. ეზოში თუთის ხეები, ყვავილნარები, მოაჯირზე შემოგრეხილი ვაზი... მარანში ღვინით სავსე ქვევრები, ბეღელში პური და სიმინდი.

ოჯახის დედა—საქვეყნოდ ცნობილი ნოვატორი მეაბრეშუმე.

ოჯახის მამა—გზის ოსტატი, დაუღალავი მშრომელი, კეთილი მეზობელი.

უფროსი შვილი—ქისტაურის ღვინის მარნის დირექტორი, უმცროსი—გზის ოსტატი.

რძლები, შვილიშვილები...

ბედნიერი ოჯახი...

**ვ. ჩეკურიშვილი**

ახმეტის რაიონი, სოფ. ქისტაური



საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი
ოსანა აივაზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთი პირველთაგანი

მარიამ ელიზბარის ასული მაჩაბელი ერთ-ერთი იმათგანია, რომლებიც მთელ თავიანთ ძალას და ცოდნას უანგაროდ ახმარენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მას — ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესიული დაავადების განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს—ამ ცოტა ხნის წინათ შრომითი მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

მარიამ მაჩაბელმა ქართველ ქალთა შორის ერთერთმა პირველმა მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება. ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინსტიტუტის ჰოსპიტალურ-თერაპიული კლინიკის ორდინატურა დაამთავრა და 1917 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ორი წლის განმავლობაში სოფლის ექიმად მუშაობდა. 1919 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ა. ალადაშვილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშათა ჯანმრთელობისა და შრომის პირობების შესწავლას, მათ დასაცავად ეფექტური ღონისძიებების შემუშავებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

ამ საქმეში თავი გამოიჩინეს პროფესორ ალადაშვილის ნიჭიერმა მოწაფეებმა ნ. მახვილაძემ და მ. მაჩაბელმა. მათ შეისწავლეს მუშათა ჯანმრთელობაზე თამბაქოს მტვერის მოქმედება და შეიმუშავეს გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

მარიამ მაჩაბელის ხელმძღვანელობით მოეწ-

# ჩვენი მშვენებანი

მხოლოდ წარმტაც ადგილებში შეხვდებით მათ.

მაღლა, სადაც წითელი ალპური ყვავილები «ანთია» და ღრუბლების გვერდით ახლადშობილი წყალვარდნილები მოჰქუხს, მზეში გაფიცხებული ფიჭვი საკმევლის სურნელით ავსებს ჰაერს და ტყე მღერის.

და ქვევით—ზღვის სიგრილესა და მზის მცხუნვარებაში.

მათს სასიხარულოდ არის ყველაფერი, რაც საუკეთესო და მშვენიერია, რადგან ისინი არიან უკეთესნი მშვენებანი ჩვენი ცხოვრებისა.

წმინდა ჰაერი, თაკარა მზე, ლურჯად მოლივლივე ტალღები აკაჟებენ, მათ კუნთებს და ისინი ზურგზე ჩანთამოკიდებულნი ადიან მთებზე, ეშვებიან ხევებში, აგროვებენ საინტერესო მცენარეებს ჰერბარიუმისათვის, უვლიან უდრტვინველ მტრედებს, ყურგრძელა კურდღლებს. ათევენ ღამეებს ტყეებში. მდინარეების პირად, ოცნებობენ ვარსკვლავების შუქზე, სწავლობენ ცეცხლის დანთებას და გზის გაგნებას, სოკოებისა



ნახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის წყნეთის პიონერთა ბანაკი



ყო ექსპედიცია ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეთაშორის ანკილოსტომიდოზის, ანუ სისხლის მწოველი ჭიის, გავრცელების შესასწავლად.

ასე ჩაისახა საქართველოში პროფესიული პათოლოგია, როგორც მეცნიერების ახალი დარგი.

1926 წელს პროფესორ მახვილაძის ინიციატივით თბილისში ჩამოყალიბდა პროფესიულ დაავადებათა შემსწავლელი პოლიკლინიკა, სადაც მუშაობა დაიწყო მარიამ მაჩაბელმა. 1929 წელს კი ამ პოლიკლინიკის ბაზაზე გაიხსნა შრომის ჰიგიენის და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამ წლიდან დაიწყო მარიამ ელიზბარის ასულის ნაყოფიერი მუშაობა პროფპათოლოგიის ბევრი გადაუწყვეტი საკითხის შესწავლისა და რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ძნელია დავასახელოთ რესპუბლიკის ისეთი საწარმო-დაწესებულება, სადაც მარიამ ელიზბარის ასულს არ შეესწავლოს მუშის სამუშაო ადგილი. მას კარგად იცნობენ ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები, ჩაის ფაბრიკებისა და პლანტაციების მუშები, მეთამბაქოები და სტამბაში მომუშავენი.

მარიამ მაჩაბელმა მრავალწლიანი სამეცნიერო გამოკვლევის შედეგად ჭიათურის მარგანეცის საბადოებში მომუშავეთა შორის დაადგინა პნევმოკონიოზის, ანუ საწარმოო მტვერით გამოწვეული ფილტვების დაავადების დამოუკიდებელი სახეობა—მანგანოკონიოზი, როგორც მარგანეცით გამოწვეული დაავადების ახალი ფორმა.

შრომამ აღნიშნულ საკითხზე თერაპევტთა XIII საკავშირო ყრილობაზე საერთო მოწონება დაიმსახურა.

მარიამ მაჩაბელის თაოსნობით ჭიათურის მარგანეცის მაღაროს მუშებისათვის გაიხსნა კურორტი კვერეთი. იგი სწავლობდა შრომის ჰიგიენის საკითხებსაც და უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერთან ერთად ამუშავებდა მუშათა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

დიდია მარიამ მაჩაბლის დამსახურება ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. საწარმოთა ექიმები სისტემატურად იღებენ მისგან კონსულტაციებს მუშათა ჯანმრთელობის დაცვისა და პროფესიულ დაავადებათა შემდგომი შემცირების საკითხებზე.

მარიამ მაჩაბლის კალამს ეკუთვნის 40-მდე სამეცნიერო შრომა. იგი თანაავტორია ინსტიტუტის მიერ 1957 წელს ქართულ ენაზე პირველად გამოცემული პროფესიული პათოლოგიის სახელმძღვანელოსი. პირველად მან შეადგინა ინსტიტუტის არსებობის 30 წლის მანძილზე შესრულებული სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი.

მარიამ მაჩაბელი დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით მედლებით და ნიშნით «ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულს».

მისი უანგარო შრომა ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადების მაგალითია.

**პროფესორი გ. ფიცხელაური,**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

---

და ბალახების ცნობას, მზისა და მთვარის სავალს, გარდასულ დროთა მდუმარე ძეგლებს და ხალხურ ზეპირსიტყვიერ სიბრძნეს, დღევანდელსა და ხვალინდელს. ქარი აფრიალებს ალისფერ ყელსახვევებს და შორს მიაქვს მათი ლაღი, თამამი სიმღერა, მათი უჩრდილო სიცილ-კისკისი, მათი აღტაცების გამომხატველი ტაში, რომელსაც ისინი გულუხვად სთავაზობენ თანატოლებს ყოველი გატანილი ბურთისათვის, ლამაზი ნახტომისათვის, მოხდენილი ცერულისათვის.

ასე მიდის ზაფხული პიონერულ ბანაკებში. იწრთობა ნორჩების სული და სხეული, შეუმჩნევლად ილევა თვე. ერთი ნაკადი სინანულით სტოვებს ბანაკს. თან მიაქვს დაუვიწყარი მოგონებები ახლადშეძენილ მეგობრებზე, ტყეში დაცემულ კარვებზე. საძილე ტომრებში გათენებულ ღამეებზე. მოდიან სხვები და კვლავ: ზურგჩანთებით მთებში და ტყეებში ხეტიალი, მეგობრობის საღამოები და პიონერული კოცონები, ცეკვა-თამაში და გამოცანები.

მათს სასიხარულოდ არის ყველაფერი, რაც საუკეთესო და მშვენიერია.

მწვანე კონცხი, ქობულეთი, გუდაუთა, ფასანაური, ბახმარო, ახალდაბა, ბაზალეთის ტბა—აი, სად ატარებს ზაფხულს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა 1.600 მოზარდი.

ლესელიძე, ახალი ათონი, სურამი და წყნეთი შეურჩევია 4.000 ბავშვისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირს.

3.000-მდე პიონერი ისვენებს მიუსერას, ჯავის, ახალდაბის, სურამის ბანაკებში, რომლებიც საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირს ეკუთვნის.

წელს პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტების ხაზით ქალაქგარეთ მოწყობილ 67 პიონერთა ბანაკში 32.000 ბავშვი დაისვენებს, მათ შორის, შავი ზღვისპირეთში 8.000-ზე მეტი.

ამასგარდა, თბილისში, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში მუშაობს 11 საქალაქო ბანაკი 2.000 ბავშვით.

წელს პროფესიული კავშირები პიონერ-მოსწავლეთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე დახარჯავენ 12 მილიონ მანეთს.

მოზარდთა ჯანმრთელობაზე იზრუნეს კოლმეურნეობებმაც. რესპუბლიკის საუკეთესო ადგილებში გახსნილია 40-მდე საკოლმეურნეო ბანაკი, ლაგოდეხელი ბავშვები ისვენებენ ნაკრძალში, მესტიელები—მოაშში, ბათუმელები—ცისკარაში, თელაველები—თეთრ წყლებში.

მხოლოდ წარმტაც ადგილებში შეხვდებით მათ.

ყველაფერი საუკეთესო და მშვენიერი ბავშვებისაა, რადგან ისინი არიან უკეთესი მშვენებანი ჩვენი ცხოვრებისა.

**ეთერ სახვაძე**

ფოტო დ. იაკობაშვილის



„გახეირნების შემდეგ"

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფელი წინამხარი. გუაში



გუდამაყრის ხეობა. გუაში

ქართულ სახვით ხელოვნებაში ღირსეული ადგილი უჭირავს ჩვენი მხატვარი ქალების შემოქმედებას. მათ თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ქართული ფერწერის, თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის, გრაფიკის, ქანდაკებისა თუ კერამიკის განვითარებაში.

ნატალია ფალავანდიშვილმა 1945 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. სწავლობდა გრაფიკის ფაკულტეტზე პროფ. შარლემანისა და ლ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით. მისი სადიპლომო შრომა—ვასილ ბარნოვის «ისნის ცისკრის» მხატვრული გაფორმება და ილუსტრაციები, აგრეთვე რეჟისორ გ. ტოვსტონოგოვისა და მსახიობ მ. ჩახავას ფანქრით შესრულებული პორტრეტები ახალგაზრდა მხატვრის მრავალმხრივ ნიჭზე მიუთითებდა.

აკადემიის დამთავრების შემდგომ მხატვარი განაგრძობს მუშაობას წიგნის გრაფიკასა და პორტრეტულ ჟანრში. აფორმებს ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებს და ასრულებს რიგ პორტრეტებს, რომლებშიც, პროფესიულ სიმწიფესთან ერთად, ამჟღავნებს ადამიანთა ხასიათების მახვილად გადმოცემის უნარს. ამავე დროს, იჩენს რა განსაკუთრებულ დაინტერესებას პეიზაჟით, მხატვარი სულ უფრო და უფრო მეტი გატაცებით ხატავს ბუნების სურათებს და მალე პეიზაჟი წამყვან ადგილს იჭერს მის შემოქმედებაში.

ნატალია ფალავანდიშვილის პირველსავე საპეიზაჟო ნაწარმოებებში გამოჩნდა მხატვრის მიერ ბუნების ღრმა და ფაქიზი გრძნობა, ფერთა ჰარმონიის განცდა და თავისებური ხედვა. ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე, ბუნების სხვადასხვაგვარ ფორმათა ხასიათის გადმომცემი თავისუფალი მონასმებითა და საერთო ლაქებით მხატვარი ქმნის პოეზიითა და სიცოცხლით სავსე პეიზაჟებს. მხატვრულ გამომსახველობის მისაღწევად გაბედულად მიმართავს სხვადასხვა ასალის კომბინაციას, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკოლოზ ფალავანდიშვილი



ქვიშხეთი. აკვარელი

გორიცაა, მაგალითად, აკვარელი და ნახშირი «წყნეთი,» «შემოდგომა» «ბოტანიკური ბაღი» და სხვ. 1946 წ.]

1945 წლიდან ფალავანდიშვილი სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და რიგ საკავშირო სამხატვრო გამოფენებზე აკვარელით და გუაშით შესრულებული პეიზაჟებით, რომლებშიც მღელვარედ და შთაგონებითაა გადმოცემული ბუნების მოტივები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, იქნება ეს გუდამაყრის ხეობის ცათაზიდული მთაგორები თუ ქვიშხეთის ხშირფოთლოვანი ხეებით დაფარული მიდამოები, თბილისის სანაპიროს მშენებლობის ხედი თუ ლიკანის მყუდრო პარკი.

ნ. ფალავანდიშვილს ნაკლებად იზიდავს თავისთავად ლამაზი ხედები, მის პეიზაჟებში მუდამ ცხოვრობს ადამიანი, იგრძნობა მისი სიახლოვე, მისი განუყოფელობა ბუნებისაგან. აი, თუნდაც პეიზაჟი «ქარი». გაშლილ ველზე მოშრიალე, ქარისაგან აწეწილი ხეები...თითქოს ერთგვარი სიცივე და სიმარტოვე დაისადგურებდა ამ შემოდგომის ქარიანი დღის ამსახველ სურათში, რომ მასში ხალისიანი, ცხოვრებისეული ინტიმურობით აღსავსე ნოტა არ შეჰქონდეს შორს, მარჯვნივ, გამოხატულ ქალის ფიგურას, რომელიც ძროხებს მიერეკება.

ნ. ფალავანდიშვილის პეიზაჟების უმრავლესობას ახასიათებს ფერთა ნათელი და ნაზი გამა. მხატვარს განსაკუთრებით უყვარს შემოდგომის თბილი მომწვანო-მოოქროსფერო და მასთან კონტრასტულად შეხამებული მუქი მწვანე, ვარდისფერი და ვერცხლისფერი ტონები. მისი სურათების ემოციურობას უთუოდ განსაზღვრავს მხატვრის წერის მანერის თავისუფლება და სილაღე, ტექნიკური ხერხების ოსტატური დაუფლება. ამოდის რა მუდამ საერთოდან და ძირითადიდან, ზედმეტი დეტალიზების გარეშე გვაგრძნობინებს საგნების ხასიათსა და თავისებურებას, კონსტრუქციასა და ფაქტურას.

ამჟამად ნ. ფალავანდიშვილი გატაცებით მუშაობს ძველი და ახალი თბილისის ამსახველ სურათებზე, აგრეთვე პორტრეტებზე, რომელთა შორის ფსიქოლოგიური დახასიათებით და გემოვნებით შერჩეული ფერადოვანი გამით გამოირჩევა «გოგონას პორტრეტი,» «ვაჟის პორტრეტი» და სხვ.

**ლეილა თაბუკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედაჩემი

## ინდირა განდი

დედაჩემი—კამალა ნერუ... რაოდენ ძნელია ჩემთვის, მისი ქალიშვილისათვის, ამ თემაზე მცირედის თქმა! ათასი რამ წარმომიდგება თვალწინ...

პირველი ჩემი მოგონება იმ დროს ეხება, როდესაც განდიმ ინდოეთის გასათავისუფლებლად სატიაგრაჰას[1], სვადეშისა[2] და კხადის[3] რევოლუციური იდეები წამოაყენა. ამ იდეებმა მამაჩემსა და დადაზე[4] დიდი გავლენა იქონია. წვეულებები და დროსტარება შეწყდა. ხავერდი, სატინა და სხვა ამგვარი ძვირფასი ქსოვილების ტანსაცმელი უბრალო და უხეშმა სამოსმა შესცვალა.

დედასაც ყოველთვის უბრალოდ ეცვა, მაგრამ ამ უბრალო ტანსაცმელშიც მისი სილამაზე და სინაზე ყვავილის მსგავსად იშლებოდა. ბავშვობიდანვე არ აქცევდა იგი ყურადღებას სამოსსა და მორთულობას. ყველაზე უმცროსი დებში, ყოველთვის ძმებთან თამაშობდა. თუმცა მისი უდარდელობა ერთხელ დიდი მწუხარებით შეიცვალა. როდესაც მას ცხრა თუ ათი წელი შეუსრულდა, ოჯახი მცირე ხნით ჯაიპურში გადავიდა. აქ დედას ჩადრი უნდა დაეხურა და, როგორც ბებია ეუბნებოდა, მხოლოდ დოლაში[5] მჯდარს შეეძლო გარეთ გამოსვლა. ლაღად გაზრდილი, ამიერიდან, ქალის მძიმე ბორკილს უნდა შეჰგუებოდა. დედა ბევრს ტიროდა. ბებიაჩემი, როდესაც ნახა შვილის ასეთი მწუხარება, თვითონაც ძალიან შეწუხდა, მაგრამ მალე გამონახა გამოსავალი: ყოველ დილით ძმის ტანსაცმელს აცმევდა, თმებს ქუდში დაუმალავდა და მთელ დღეს ბიჭებთან ერთად ამყოფებდა. ამ ამბავმა დედაზე იმდენად იმოქმედა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ჩადრის ტარების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია.

---

[1] სატიაგრაჰა—სიტყვასიტყვით ნიშნავს სიმტკიცეს, დამყარებულს ჭეშმარიტებაზე. ასე უწოდებდა განდი თავის კამპანიას ინგლისელების წინააღმდეგ.

[2] სვადეში — სამშობლოს განთავისუფლება.

[3] კხადი—შინნაქსოვი, უხეში ქსოვილი. ეროვნული კონგრესის წევრები ვალდებული იყვნენ ეტარებინათ ამ ქსოვილის ტანსაცმელი.

[4] დადა – ბაბუა (მამის მხრივ).

[5] დოლა—ტახტრევანი (ქალებისათვის).

17 წლის იყო, როდესაც დედ-მამის სახლი დატოვა და ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა. ვინ იცოდა, რა გრძელი და მწუხარებით სავსე გზა უნდა გაევლო! მაშინ დადა უკვე ცნობილი ვექილი იყო და მთელ იმ მხარეში დიდი პატივისცემით სარგებლობდა, იგი დიდი ჭკუისა და დიდი გულის ადამიანი იყო. შემოსავალი ბევრი ჰქონდა და ბევრსაც ხარჯავდა. სახლი ყოველთვის სტუმრებით იყო სავსე. ვინ არ იყრიდა აქ თავს—სამხედრო პირები, მწერლები, პოეტები, ინგლისელები თუ ინდოელები... ქაშმირში, ოჯახში ქალები ჩადრს არ ხმარობდნენ. ბებიაც საზღვარგარეთ იყო ნამყოფი და ეს წესი არ მოსწონდა. ამიტომ, ამ მხრივ, დედაც თავს თავისუფლად გრძნობდა, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ოჯახის მოვლა და მასპინძლობა სულ მას აწვა კისერზე. იგი ახალი წესების მიმდევარი იყო და ყოველმხრივ ცდილობდა ცხოვრების შეცვლას. ამიტომაც იღებდა ასეთ აქტიურ მონაწილეობას კონგრესის[1] მუშაობაში. ამ დროისათვის უკვე ათასამდე ქალი ჩაება კონგრესის მოღვაწეობაში. თავიანთი სიმამაცითა და გამბედაობით ქალები ყოველთვის იქცევდნენ განდის ყურადღებას, ამიტომ ის სავსებით ენდობოდა მათ. დედა ამ დროს ავად იყო, მაგრამ კონგრესში ნებაყოფლობით მუშაობას და ხალხში მოღვაწეობას მაინც განაგრძობდა. როდესაც ხელმძღვანელი პირები დააპატიმრეს, დედა მთელი გატაცებით ჩაება საქმეში. ყველას აოცებდა ის ძალა და ენერგია, რომლითაც მან ქალაქი ალლაჰაბადი და სხვა რაიონები გააერთიანა. ყველა აქებდა მის ნიჭს. მისი მეუღლე ჯავაჰარლალ ნერუ და მამამთილი მოტილალი აღტაცებული იყვნენ კამალას საქმიანობით, მაგრამ ძალიან აფიქრებდათ მისი სუსტი ჯანმრთელობა. თვითონ კი არაფრად აგდებდა ავადმყოფობას.

1930 წლის დამლევს კონგრესის მუშათა კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად დედაც დააპატიმრეს. ის ღამე თეთრად გავათენეთ.. მაგრამ მუშაობა იქაც არ შეუწყვეტია დედას, ძალ-ღონეს არ ზოგავდა იმისათვის, რომ მისი სიკვდილის შემდეგ სხვებს თავისუფლად ეცხოვრათ.

---

[1] კონგრესი—ინდოეთის ეროვნული კონგრესი. შეიქმნა 1885 წელს. ახლა ინდოეთის რესპუბლიკის მმართველი პარტიაა.

ამბობენ, ადამიანის ნამდვილი სახე მწუხარებისა და უბედურების დროს გამოჩნდება, სუსტს უბედურება გატეხს, განადგურებს, ძლიერს კი მწუხარება ჭკუას ასწავლის და ბრძოლის უნარს კიდევ უფრო გაუძლიერებს. დედაჩემი მშიშარა არასოდეს ყოფილა, არც ხმამაღლა ლაპარაკი იცოდა, მაგრამ ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა და ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ჩვენი პანდიტის[1] ძმისშვილები ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ დედას, მაგრამ ამავე დროს ეშინოდათ კიდეც მისი. მე ყოველთვის მიკვირდა რატომ ეშინოდათ ასეთი ლამაზი, სუსტი და გამხდარი ქალისა. პანდიტი კი მეუბნებოდა: არ იცი განა, მასში რომ დიდი ძალის ღმერთია. დედას კი ეცინებოდა მის სიტყვებზე. რაღაც ძალა კი ნამდვილად იყო მასში და ეს ძალა ყველაზე ახდენდა გავლენას. მე ვფიქრობ, მას მამაზეც დიდი გავლენა ჰქონდა... ეკლესიაში სიარული არ უყვარდა, მორწმუნე კი იყო. ყოველ დილით რამაიანას და გიტას[2] გვაკითხებდა.

დიდი იყო მასში მოვალეობის გრძნობაც. ცხოველ ინტერესს იჩენდა ღარიბების სწავლა-განათლებისა და მათი კეთილდღეობის საქმისადმი. 1928 წელს დედამ თავისი სახლი აჩუქა კონგრესს და მის ერთ ნაწილში საავადმყოფო გახსნა ღარიბთათვის.

36 წლის იყო, როდესაც სამშობლოსაგან და სახლისაგან მოშორებული გარდაიცვალა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იღიმებოდა და ჩვენ გვამხნევებდა. მისი უკანასკნელი სურვილი იყო ალლაჰაბადში საავადმყოფოს დაარსება. ეს საავადმყოფო შემდეგ დაარსდა დედის პატივსაცემად და მის საზეიმოდ გახსნას მაჰატმა განდიც დაესწრო...

მე მიხარია—დედაჩემის, კამალა ნერუს სახელს მისი სიკვდილის შემდეგაც პატივისცემით რომ იგონებენ ადამიანები,

**ინდურიდან თარგმნა**

**მერი მოდებაძემ**

---

[1] პანდიტი—სწავლული ბრაჰმანი.

[2] ძველი ინდური პოემებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კანდელაკი

# გამოცდაზე



გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ ახალ ფილმში მონაწილეობის მისაღებად კინოსტუდია სთხოვდა მსურველებს გამოცხადებულიყვნენ ფილმის დამდგმელ რეჟისორთან.

სტუდიაში უამრავი ახალგაზრდა შემოგროვდა, რომელთა შორის ორი დაც იყო.

დები ერთად შევიდნენ დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა შერჩევა როლებისთვის, და რეჟისორის წინაშე წარსდგნენ.

— ორივეს გინდათ გამოცდაზე გასვლა?,..— იკითხა რეჟისორმა.

— არა, გამოცდაზე მე ერთი გავალ... ჩემი და კი, თუ შეიძლება მხოლოდ დაესწრება ამ გამოცდას. ის კინოხელოვნების გულშემატკივარია, მაგრამ... სამწუხაროდ არავითარი ნიჭი არ გააჩნია.—თქვა უფროსმა დამ.

— მე ხელს არ შეგიშლით... ჩუმად ვიდგები აქ კედელთან, ოღონდ უარს ნუ მეტყვით...— ვედრებით თქვა უმცროსმა დამ.

— კარგი, დარჩით...—გაეღიმა რეჟისორს.

მერე უფროსი და ფანჯრისკენ წაიყვანა. კარგა ხანს უცქირა და ბოლოს საგამოცდო ეტიუდის შინაარსი გააცნო:—წარმოიდგინეთ, სრულიად მოულოდნელად შეიტყვეთ ქმრის გარდაცვალების ამბავი... როგორ მოიქცეოდით?...

უფროსი და საგონებელში ჩავარდა...

ამ დროს ვიღაცამ შეჰკივლა და ზღართანი მოადინა იატაკზე.

დარბაზში მყოფნი შეშფოთებულნი წამოიშალნენ.

— ეს ჩემი და გახდა ცუდად!—თქვა უფროსმა დამ და ქვითინით გაიქცა გულწასულისაკენ.

ხმაურზე უმცროსმა დამ თვალები გაახილა.

— რა მოგივიდათ, რატომ შეიქენით ცუდად?—კითხა რეჟისორმა და ქალიშვილს წამოდგომაში დაეხმარა.

— თქვენ ხომ თქვით რომ ჩემი სიძე მოკვდა და აბა როგორ არ უნდა შევწუხებულიყავი?!—სერიოზულად გაეპასუხა უმცროსი და.

---

# ჰუმორისტული სცენები

## აცდენილი ისარი

ახალგაცნობილი ქალის ჭარბმა ყურადღებამ ვაჟი მოხიბლა:

— რადგან ასე მოგწონვართ, გადავწყვიტე ცოლად შეგირთოთ.

— ნუთუ,—უნებურად ამოიოხრა ქალმა.—მე კიდევ იმიტომ მომწონდით, რომ უფრო ჭკვიანი მეგონეთ.

## საშიში მსგავსება

ერთი კაცი ლამაზი ქვრივის გულის მოგებას დაბეჯითებით ცდილობდა.

— თქვენ ჩემს განსვენებულ მეუღლეს მაგონებთ,—უთხრა მას ერთ დღეს ახალგაზრდა ქვრივმა.

— მართლა!.. ნუთუ, ქალბატონო?!

— დიახ, პირდაპირ აუტანელი ხართ და, ალბათ, მასავით ძნელი მოსაშორებელიც იქნებით.

## დამარწმუნებელი არგუმენტი

— გეფიცებით, ამდენი ხნის ქალიშვილი ვარ და ჯერ მამაკაცთან ორი სიტყვაც არ მითქვამს.

— აჰ, ფიცი რათ გინდათ, ვინც თქვენ შეგხედავთ, გაგიცნობთ ან მოგისმენთ, მაგას ყველა დაიჯერებს.

## სხვანაირად გაიგო

წვეულებაზე ერთმა ქალმა ნაცნობს შესჩივლა:

— პირდაპირ საშინელებაა, როდესაც ქმარი სულ კუდში დაგდევს...

— მით უმეტეს ქალბატონო, თუ ხედავს, რომ ცოლი ნამდვილად კუდიანი ჰყავს—მიუგო ნაცნობმა.

## გადაჭარბების შედეგი

— რატომ გაშორდით ქმარს. არ გიყვარდათ?

— ძალიან მიყვარდა.

— მაშ მას არ უყვარდით?

— აჰ, პირიქით, გადაჭარბებული ერთგულებით თავიც მომაბეზრა..

## ნახევრის ოდენა

ბაღში სასეირნოდ გამოსული ძველი ნაცნობები შებინდებისას ერთმანეთს შეხვდნენ:

— სად არის თქვენი მეორე ნახევარი?

— როგორ, მე მთლიანად ვერ მხედავთ, ბატონო?

— თქვენს მეუღლეზე მოგახსენებთ...

— ოჰ, ის ახლა ნახევარი კი არა მთელი ოთხი მეხუთედია. ისე მომინელა, რომ ერთი მეხუთედიღა დავრჩი.

## რა უფრო ცუდია!

აგარაკიდან დაბრუნებული ცოლქმარი ერთმანეთში ასე ტკბილად საუბრობდნენ:

— ჩემო სულიკო, უსაფუძვლო იჭვზე ცუდი არაფერია ამ ქვეყნად:

— როგორ არა. არის... როდესაც ეჭვი საფუძვლიანია...

## კ ა რ ნ ა ვ ა ლ ზ ე

საღამოს პარკში, მხიარულ კარნავალზე, სადაც ახალგაზრდობა სამასკარადო კოსტუმებითა და ნიღბებით იყო მოსული, ერთი «რაინდი» ვიღაც «სეფე ქალს» ბნელი ხეივნისაკენ ეშმაკური ღიმილით იწვევდა.

— რად ყოყმანობთ? აქეთ წამოდით, ქალიშვილო, არ შეგეშინდეთ- მე მხოლოდ გადაცმული ვარ ვაჟურად.

— არა, როდი მეშინია,—მშვიდად მიუგო მას «სეფე ქალმა,»—რადგანაც მეც მხოლოდ ისე ვარ ქალურად გადაცმული.

— ააა?!!

ა. ბასილაია

# საუბარი მშობლებისათვის

## მშობელთა ავტორიტეტის შესახებ

(წერილი მეორე) *

კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით დასაგმობია, აგრეთვე, *ყოყოჩობის* ავტორიტეტი. იგი ახასიათებთ იმ მშობლებს, რომელთაც თავი მოაქვთ მაღალი ცენზით, სამსახურებრივი მდგომარეობით ან ეკონომიური პირობებით. საკმარისია ეს საფუძველი მათ გამოეცალოთ, რომ შვილებისა და საზოგადოების თვალში მათი ავტორიტეტისაგან არაფერი დარჩეს.

საბჭოთა პედაგოგიკა გვასწავლის, რომ მხოლოდ უბრალოებას, თავმდაბლობას, გულისხმიერებას, ამხანაგობისა და კოლექტივიზმის გრძნობას, მაღალ შინაგან კულტურასა და შეგნებას ძალუძს აღჭურვოს მშობელი ჭეშმარიტად ჯანსაღი და მტკიცე ავტორიტეტით.

პედანტიზმის ავტორიტეტის მქონეა ის მშობელი, რომელიც გადაჭარბებულ აღმზრდელობითს მეურვეობას იჩენს. იგი უმეტესად დედებს ახასიათებთ, პედანტი დედები, როგორც წესი, შვილის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებენ და სრულიად უმნიშვნელო მოქმედებასაც კი დამრიგებლობითი მსჯელობის საგნად აქცევენ ხოლმე. მეტიც, პედანტი მშობლები იმასაც ცდილობენ, რომ შვილებში მტკიცე აღმზრდელის შთაბეჭდილება დატოვონ. მაგრამ ეს ფაქტიურად მხოლოდ ცდა და კეთილი სურვილია, ვინაიდან მათი ეს ეგრეთწოდებული «სიმტკიცე» უფრო სიჯიუტე, სიბეცე და უაზრო აჩემებაა. მაგალითად, პედანტი მშობლები ავტორიტეტის შელახვის შიშით თავის გადაწყვეტილებას მაშინაც არ ღალატობენ, როდესაც აშკარად ხედავენ, რომ მოცემულ მომენტში მათი შვილი სრულიად მართალია. «ვთქვი და გავათავეო» ასეთია პედანტიზმის ავტორიტეტის მატარებელი მშობლების მოქმედების პრინციპი. გადის დრო, და ასეთ მშობლებს უკვირთ რატომაა მათი, ახლა უკვე სრულიად მომწიფებული შვილი გაუბედავი, მორიდებული, უინიციატივო, ჩაკეტილი, უამხანაგო, ახირებული, წვრილმანი, ხელმოჭერილი, უხასიათო და სხვა უარყოფითი თვისებების მქონე. ბავშვს მეტი თავისუფლება და დამოუკიდებულება უნდა მივცეთ, ყველაფერში არ უნდა ავუხირდეთ, კუდში არ უნდა ვსდიოთ, დარიგებით თავი არ უნდა შევაწყინოთ.

*სიყვარულის ავტორიტეტი* ყველაზე გავრცელებული სახეა ჩვენში. იგი დამახასიათებელია როგორც დედებისათვის, ასევე მამებისათვის. ვინ არ ყოფილა იმის მოწმე, რა უზომოდ, თავდავიწყებით ეალერსება და ანებივრებს ზოგიერთი მშობელი შვილს. ყოველივე ეს განსაკუთრებით იმ ოჯახში ღებულობს მახინჯ სახეს, სადაც ბავშვი დედისერთაა. შიშველი მშობლიური ინსტიქტითა და გრძნობით შეუძლებელია ჯანსაღი გავლენა მოვახდინოთ ბავშვებზე, ჭეშმარიტად მაღალი ავტორიტეტით ვსარგებლობდეთ მის თვალში. დედის გული მაღალი ნებისა და გონების გარეშე ცუდი მსახურია შვილის აღზრდის საქმეში. გვახსოვდეს, რომ სიყვარულის ავტორიტეტით გაზრდილი ბავშვი უნებისყოფო, ეგოისტი, თავნება, ჟინიანი, პატივმოყვარე და ყოველთვის უკმარობის გრძნობით აღსავსეა. ამიტომ ნუ ეწყინება მშობელს, თუ კი სათუთად გაზრდილი შვილისაგან სიყვარულისა და პატივისცემის მაგიერ უპატივცემულობას, დამცირებას და ზოგჯერ სიძულვილსაც კი მოიმკის. სიყვარულის ავტორიტეტისაგან თავის დაღწევის უებარი საშუალება პირველ ყოვლისა ის არის, რომ ვიყოლიოთ რამოდენიმე შვილი.

არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც შვილების აღზრდაში უკიდურეს ლმობიერებასა და ლიბერალიზმს იჩენენ. ეს კი თავისთავად გულკეთილობის ავტორიტეტს წარმოშობს. გულკეთილობის ავტორიტეტი სიყვარულის ავტორიტეტის მსგავსია, მაგრამ უფრო ცუდი შედეგის მომცემი. გულკეთილობის ავტორიტეტის მქონე მშობლის ხელში ბავშვი არ ჭირვეულობს, არ იქცევა ცუდად, არ თავხედობს, არ ეწინააღმდეგება მშობელს და ერთი შეხედვით ცუდი ბავშვის შთაბეჭდილებას არ ტოვებს მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ მშობელია მის მიმართ დამთმობი, დამყოლი, ლმობიერი, კეთილი და გულჩვილი. ასეთ გულკეთილობას, ლმობიერებას და უპრინციპობას აღზრდაში ბავშვისათვის დამღუპველი შედეგი მოაქვს. გულკეთილობის ავტორიტეტი ბატონკაცს, თავნებას, თავხედს, ეგოისტსა და პატივმოყვარე ადამიანს ზრდის. საგულისხმოა, რომ ამ ანტისაზოგადოებრივი ადამიანის უარყოფით თვისებებს როგორც წესი, სხვებზე ადრე თვითონ მშობლები ეწირებიან.

*რეზონერობის ავტორიტეტი* გულკეთილობის ავტორიტეტის ერთგვარად საწინააღმდეგო სახეა. «რეზონერი» ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს დამრიგებლობითი ხასიათის მსჯელობის მოყვარულ პიროვნებას. თუ გულკეთილობის ავტორიტეტის მქონე მშობლებისათვის დამახასიათებელია მოკრძალება, ხათრიანობა, დამთმობი ბუნება და უპრინციპობა, რეზონერი მშობლები გულს უწყალებენ და სიცოცხლეს უწამლავენ ბავშვებს მუდმივი ჩიჩინით, მომაბეზრებელი დარიგებებით, გადაჭარბებული კონტროლითა და მეურვეობით. პატარა გუბაზის დედას თავი მოჰქონდა ნაცნობ-ნათესავებსა და მეზობლებში მით, რომ იგი თავდადებული, ყურადღებიანი, გულისხმიერი დედა და «საუკეთესო» აღმზრდელი იყო. დედა არ სტოვებდა უყურადღებოდ შვილის არცერთ უმნიშვნელო დანაშაულს, მკაცრად გმობდა მის [illegible] ქცევა-მოქმედებას და შვილთან ამის შესახებ მომაბეზრებელ საუბარს იწყებდა ხოლმე. იყო შემთხვევა, როდესაც გუბაზის მშობელი ზოგიერთ სხვა მშობელს გულში დასცინოდა იმის გამო, რომ ისინი მსგავსი საქციელისათვის შვილებს შენიშვნას არ აძლევდნენ, არ ტუქსავდნენ და ხშირად მათ დანაშაულს უყურადღებოდაც ტოვებდნენ. გავიდა წლები. გუბაზი მე-8 კლასის მოსწავლე გახდა. დედა კი სწუხდა, რომ მისი შვილი იყო ანჩხლი, ნერვიული, უნიათო, გადაჭარბებულად მორცხვი და მორიდებული, უინიციატივო, სხვაზე მკვეთრად დამოკიდებული, გაუბედავი, ერთგვარად გულჩახვეული და უამხანაგო. ამაოდ ეძებდა გუბაზის დედა ამის მიზეზს სადღაც სხვაგან. მიზეზი კი მასში იყო, მის მიერ შვილის არასწორ და უმართებულო აღზრდაში, რეზონერობის ავტორიტეტში. გვახსოვდეს, რომ ბავშვს თავისი ბუნება და სამყარო აქვს, რომელიც დიდისაგან მკვეთრად განსხვავდება. ბავშვს მეტი თავისუფლება და დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება უნდა მივცეთ. არ შეიძლება მოზარდის ყოველი დანაშაული მომაბეზრებელი დამრიგებლობითი საუბრის საგანი გავხადოთ, ბავშვი «პედაგოგიურ მარწუხებში» ვიყოლიოთ. გადაჭარბებული აღმზრდელობითი ზემოქმედება არამც თუ კარგავს თავის ცხოველმყოფელ ძალას, არამედ ხშირად უკუმოქმედ სახესაც კი ღებულობს. ვიცოდეთ, რომ თუ ბავშვის ზოგიერთ დანაშაულს გარკვეული მიზნით ყურადღებას არ მივაქცევთ—ესეც აღზრდაა!

მეგობრობის ავტორიტეტი სიყვარულისა და გულკეთილობის მსგავსია, მაგრამ მანძილის ავტორიტეტის საწინააღმდეგო და საპირისპირო. იგი შვილებისადმი გადაჭარბებულად ახლო და ამხანაგური დამოკიდებულების საფუძველზე წარმოიქმნება. არ ძალუძს რა ბავშვს სათანადოდ შეაფასოს მშობლებთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების ასეთი კეთილშობილი და მაღალი ფორმა, იგი მშობლებს უთამამდება და ხდება უდიერი. არც გადაჭარბებული სიახლოვე, ამხანაგობა და მეგობრობა და არც თავის გადაჭარბებულად შორს დაჭერა, არამედ საშუალო დონე—ერთერთი უტყუარი პირობაა შვილებთან ჯანსაღი ურთიერთობისა და დამოკიდებულების დასამყარებლად.

ზოგიერთი მშობელი შედარებით იოლ გზას მიმართავს აღზრდაში: «ყიდულობს», ქრთამავს შვილს და ამ გზით იმორჩილებს მას. გავლენისა და ზემოქმედების ამ სახეს პედაგოგიკაში *მოსყიდვის ავტორიტეტს* უწოდებენ. ეს ავტორიტეტი, სამწუხაროდ, მთელ რიგ ოჯახებში საკმაოდ არის გავრცელებული. ჩვენ ვიცნობთ ოჯახებს, სადაც გარკვეული «ხელშეკრულება» იდება მშობლებსა და შვილებს შორის, რომლის საფუძველზე შვილი ვალდებულია კარგად ისწავლოს და წესიერად მოიქცეს, ხოლო მშობელმა ვალდებულების სათანადოდ შესრუ-

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. მე-7 ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება შვილს საჩუქრით ან გარკვეული თანხით უნდა გადაუხადოს. ბავშვის დასაჩუქრება, წახალისება, რასაკვირველია, კარგი ღონისძიებაა და აუცილებელიცაა აღზრდაში, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს არა წინასწარი დაპირებებით, პედაგოგიურად სრულიად გაუმართლებელი კომერციით და მორიგებით, არამედ დავალებათა სისტემატური შესრულებისათვის, კარგი ქცევამოქმედებისა და სწავლისათვის, ამასთანავე მხოლოდ სადღესასწაულო და სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან (დაბადების დღესთან და სხვ.) დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსყიდვის ავტორიტეტი ბავშვს ხდის ანგარებიანს, ფულებისა და ნივთების მოყვარულს, ხარბსა და ძუნწს, მეშჩანინსა და ობივატელს.

ამგვარად, დასკვნა ერთია: ჩვენს მიერ ჩამოთვლილი და აღწერილი მშობელთა ავტორიტეტის ყველა სახე ყალბია, არაჯანსაღი და კომუნისტური აღზრდისათვის სრულიად უვარგისი. მხოლოდ პედაგოგიკურად გათვითცნობიერებულ პიროვნებას, ჭეშმარიტად მაღალი მოქალაქეობრივი ღირსების მქონე ადამიანს, ნამდვილად კულტურულსა და შეგნებულს შეუძლია გახდეს ჯანსაღი ავტორიტეტის მატარებელი მშობელი და, მაშასადამე, კარგი საბჭოთა აღმზრდელი.

**შ. კუჭუხიძე**

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი



«ჩემია, არ მოგცემ!» ფოტოეტიუდი ე. სუსუნიკაშვილის

# დიფთერია

დიფთერიას ანუ ხუნაგს უძველესი დროიდან იცნობს კაცობრიობა. იგი დიდ სიკვდილიანობას იწვევდა სამკურნალო პრეპარატის აღმოჩენამდე. დიფთერიის გამომწვევი მიზეზია კლებსისა და ლოფლერის მიერ 1883 წელს აღმოჩენილი ბაქტერიები. ისინი იმყოფებიან დიფთერიით დაავადებული ადამიანის ლორწოვან გარსში, უფრო ხშირად ხახაში და ცხვირში. მათი მტარებლები ზოგჯერ ჯანმრთელი ადამიანებიც არიან.

დიფთერიით დაავადებული ან ჯანმრთელი, მაგრამ დიფთერიის ჩხირების მატარებელი, ლაპარაკის, ცხვირის ცემინების, ხველების დროს ლორწოვან წვეთებთან ერთად გამოჰყოფს ბაქტერიებს, ახდენს ჰაერის და ირგვლივ არსებული საგნების დასნებოვანებას. გარემოში დიფთერიის ჩხირები გარკვეული დროის განმავლობაში ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს და ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ მის დაავადებას. ზოგჯერ დიფთერიის გავრცელება შეუძლიათ რეკონვალესცენტებსაც, ე. ი. ისეთ პირებს, რომლებსაც დიფთერია ახლად გადატანილი აქვთ. დიფთერიით შეიძლება ავად გახდეს ყოველი ასაკის ადამიანი, განსაკუთრებული მიდრეკილება კი ამ დაავადებისადმი ბავშვებს აქვთ.

დიფთერიის მიკრობის ორგანიზმში მოხვედრიდან დაავადების გამომჟღავნებამდე არის ფარული პერიოდი, რომელიც 2—7 დღეს გრძელდება.

დიფთერიის მიკრობები ლორწოვან გარსში მრავლდებიან, იწვევენ ადგილობრივ ანთებას ან რუხი ფერის ნადების ანუ აპკის წარმოქმნით გამოყოფენ ტოქსინს (შხამს), რომელიც გადადის სისხლში და იწვევს მთელი ორგანიზმის, განსაკუთრებით გულის, ნერვული სისტემის და თირკმლების მოშხამვას.

იმის მიხედვით, თუ სად მოხდა მიკრობის შეჭრა და გამრავლება დიფთერია შეიძლება იყოს ხახის, ცხვირის, ხორხის, თვალის, სასქესო ორგანოების, ყურის და კანის. ძუძუმწოვარა ბავშვებში ხშირია ცხვირისა და ხორხის დიფთერია, მოზრდილებში კი ხახის დიფთერია. ეს დაავადება იწყება ტემპერატურის აწევით, რომელიც შეიძლება იყოს ან ოდნავ მომატებული ან მაღალი, საერთო სისუსტით, უხალისობით და უმადობით. აწეული ტემპერატურის მიუხედავად ბავშვებისათვის დამახასიათებელია სიფერმკრთალე.

ხახის დიფთერიის შემთხვევაში მოზრდილი ბავშვები აღნიშნავენ ყელის ოდნავ ტკივილს. პირის ღრუს დათვალიერებისას ნუშისებურ ჯირკვლებზე შეინიშნება თეთრი ან რუხი ფერის ნადები, რომელიც შეიძლება გავრცელდეს რბილ სასაზე, ხახის უკანა კედელზე.

არსებობს დიფთერიის ავთვისებიანი, ტოქსიკური ფორმები, რომელთა დროსაც გარდა პირის ღრუს მხრივ არსებული ცვლილებებისა, ადგილი აქვს კისრის ლიმფური ჯირკვლების გადიდებას და კისრის კანქვეშა ქსოვილის შეშუპებას, რაც შეიძლება გულმკერდზეც ჩავიდეს. დიფთერიის ეს ფორმა საშიშია მისთვის დამახასიათებელი გართულების გამო, დაახლოებით 10—12 დღეზე იწყება მწვავე მიოკარდიტი, რომელიც შეიძლება გულის დამბლით დამთავრდეს. შედარებით მოგვიანებით კი პოლირადიკულონევრიტი, რომლის დროსაც შესაძლოა სუნთქვის პროცესში მონაწილე ნერვების დამბლა.

ცხვირის დიფთერიისათვის დამახასიათებელია ცხვირიდან სისხლიან-ლორწოიანი გამონადენი, სისხლიანი ქერქები ცხვირში, ცხვირით სუნთქვის გაძნელება. ძუძუმწოვარა ბავშვები ვეღარ ახერხებენ ძუძუს წოვას. დიფთერია ცხვირიდან შეიძლება გადავიდეს ხახაზე ან ხორხზე.

ხორხის დიფთერიისათვის ანუ როგორც მას უწოდებენ, კრუპისათვის დამახასიათებელია მყეფავი ხასიათის ხველა, ხმის ჩახლეჩა და სუნთქვის გაძნელება, თუ ზომები დროზე არ იქნა მიღებული, ბავშვი შეიძლება დაიღრჩოს.

თვალის დიფთერია იშვიათად გვხვდება. მისთვის დამახასიათებელია ქუთუთოს შიგნითა ზედაპირზე თეთრი აპკოვანი ნადების გაჩენა, თვალიდან ცრემლის დენა, სიწითლე, თვალის ირგვლივ მდებარე ქსოვილის შეშუპება.

თანამედროვე მედიცინას აქვს დიფთერიის მკურნალობისათვის მძლავრი სპეციფიკური საშუალება—შრატი, რომელიც მხოლოდ მკურნალობის დროულად დაწყებისას იძლევა კარგ შედეგს. ბავშვთა სიკვდილიანობის ის ერთეული შემთხვევები, რომლებიც სადღეისოდ კლინიკის პირობებში გვხვდება, გამოწვეულია ძირითადად ავადმყოფის საავადმყოფოში დაგვიანებით მოთავსების გამო.

კლინიკური დაკვირვება იძლევა, აგრეთვე, იმის თქმის საშუალებას, რომ ბავშვები, რომლებსაც დიფთერიის საწინააღმდეგო აცრა წესიერად აქვთ ჩატარებული, თუ დაავადდებიან დიფთერიით, (რაც შედარებით იშვიათია) დაავადება მსუბუქი ფორმით მიმდინარეობს.

მშობლებმა ყოველთვის უნდა ახსოვდეთ დიფთერიის, ამ მძიმე ინფექციური დაავადების შესახებ და არ უნდა დატოვონ ბავშვი აუცრელი, ბავშვის დაავადებისთანავე კი სასწრაფოდ მიმართონ ექიმს.

**ექიმი თამარ სებისკვერიძე**



საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გვესაჭიროება ლამაზი ქალიშვილი"

მარია ლუიზა ვისენტინი

**„კოლ-გიორლზ", „ტაქსი-გიორლზ"—„ინდუსტრიალიზირებული" პროსტიტუციის ახალი ფორმებია, რომლებიც ახალმა „ცხოვრების წესმა" შექმნა. პროსტიტუცია, როგორც უკუღმართი სოციალური სისტემის დაავადების სიმპტომი, იმდენად სერიოზულ ბოროტებად იქცა, რომ უკვე შეუძლებელია მისი უგულვებელყოფა, შეუფასებლობა.**

«კავერ-გიორლ», «კოლ-გიორლ», «ტაქსი-გიორლ», «სტრიპ-ტიზ» (უხამსი ქორეოგრაფია), «სეპრაიზ-პარტი»—ასეთი ამერიკული სიტყვები შევიდა ჩვენს ლექსიკონში ისევე, როგორც ოდესღაც სიტყვები-«ფეხბურთი», «ჩოგბურთი» და სხვა. ახალი «ცხოვრების წესს» შესაფერისი ახალი წარმოდგენები შეესატყვისება.

ჩვენს დროში ჩამოთვლილ ტერმინებს ხმარობენ სხვადასხვა კატეგორიის მეძავ «დილეტანტთა» აღსანიშნავად.

ადრე არსებობდნენ ცნობილი კურტიზანკები ანუ ჩვეულებრივი ქალიშვილები მეძავთა სახლებიდან. მათ, როგორც განკიცხულ არსებებს, ზურგს აქცევდნენ, საზოგადოების ნაწილში ისინი ზიზღს იწვევდნენ, ზოგში—სიბრალულს. მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს უძღვნიდნენ მათი ცოდვების, ტანჯვისა და წვალების აღწერას. რომელ ჩვენთაგანს არ წაუკითხავს ცნობილი რომანები «ნანა», «ტაისი», «მანონ ლესკო», «ქალი კამელიით».

დღეს კი მეძავთა ცხოვრება საგაზეთო ქრონიკისათვის მდიდარ მასალას წარმოადგენს. ძნელია ყველა იმ ინფორმაციის ჩამოთვლა, რომელშიც რიგრიგობით მოქმედებენ «სეპრაიზ-პარტი», «სტრიპ-ტიზ», «კოლ-გიორლზ», ბოროტი საქმოსნები და დაქირავებული მკვლელები. მკითხველებს სულს უხუთავს ეს წერილები ისევე, როგორც საშინელი სურათებით სავსე კინოფილმები, რომელთა გმირები არიან ლამაზი ქალიშვილები და ჭაბუკები, მაღალი წრის წარმომადგენლები... ფულის წკრიალი კი ქმნის აქ ფილმების მუსიკალურ ფონს.

გაზეთების კითხვისას თავს ვერ აღწევთ გაოცებას, შემდეგ კი ზიზღს,—ან უბრალოდ საშინელების გრძნობა გეუფლებათ.

ფართოდაა გავრცელებული შემოსავლიანი ვაჭრობა ქალის სხეულით. პროსტიტუციის ორგანიზაციის კლასიკური ფორმების გვერდით, რომლებსაც ეკუთვნის მეძავთა სახლები თავიანთი ტრადიციული დიასახლისებით და გაჭახჭახებულ ფანჯრებში გამოფენილი ცოცხალი საქონლით,—არსებობს ეგრეთწოდებული «გართობის სასახლეები», სადაც პატივცემული მოქალაქეები, პოლიტიკური მოღვაწეები, მაღალი წრის ქალბატონები, წესიერების ნიღაბაფარებულნი გამოდიან მაცდუნებლისა და მაჭანკლის როლში. გარდა ამისა, იაფფასიან ლუდხანებსა და ღამის სამიკიტნოებში გაჩაღებულია ვაჭრობა ქალიშვილებით, ეგრეთწოდებული «ტაქსი—გიორლზებით».

დარბაისელ ადამიანთა სახლებში და ცნობილ სასტუმროებში მამაკაცებს იტყუებენ მეძავი ქალები, რომლებსაც აქ «კოლ-გიორლებს» ეძახიან. ესენი არიან უთვალავი ქალიშვილები, რომლებსაც შეხვდებით სარეკლამო ფურცლებზე, ახალგაზრდა გოგონები «ვარდისფერი ბალეტიდან», რომლებსაც იზიდავდა სამსახიობო კარიერა.

«სტრიპ-ტიზს» თქვენ შეიძლება შეხვდეთ ეგრედწოდებულ «ცეკვის სკოლებში», რომლებსაც ეწვევიან ხოლმე კეთილშობილი ქალბატონებიც, საზოგადო მოღვაწეებიც და პოლიციელებიც. არის აგრეთვე, «კლუბები», სადაც თითქოსდა კულტურული მიზნით, ცდილობენ მიიზიდონ 13—14 წლის მოზარდები—გოგონები, და ბიჭები, რათა გაათვითცნობიერონ «დახვეწილი*სიყვარულის» და «გარყვნილების იშვიათი გემოვნების» საიდუმლოებაში.

მაჭანკლობას ეწევიან უამრავი მსხვილი, კარგად ორგანიზებული და საკმაოდ დიდშემოსავლიანი საწარმოები, ნამდვილი ტრესტები. მათ განკარგულებაშია დიდძალი თანხები, როგორც მსხვერპლთა, ისე ჯალათთა მისაზიდად, აგრეთვე იმათი სინდისის მოსასყიდადაც, ვინც ბოლო უნდა მოუღოს ამ სამარცხვინო საქმიანობას.

თუმც პროსტიტუცია ხშირად კანონით აკრძალულია, მაგრამ ძირითად კაპიტალისტურ ქვეყნებში—აშშ-ში, სადაც ნიუ-იორკი წარმოადგენს მის ციტადელს, დიდ ბრიტანეთში და დასავლეთ გერმანიაში იგი მაინც ვითარდება. ამას ნათლად ადასტურებს ამერიკელი ჟურნალისტის მეროუს განცხადება.

საინტერესოა რამდენიმე ნაწყვეტის მოყვანა ჟურნალისტ მეროუს იმ სენსაციური ინტერვიუდან, რომელიც ორგანიზებული იყო ტელეხედვის სტუდიის «კოლომბიენ ბროტკასტინგ სისტემის» მიერ. ეს გადაცემა მიმდინარეობდა სათაურით «სქესობრივი ვაჭრობა».

«ჩვენი გადაცემის თემა,—განაცხადა ავტორმა,—არ არის ახალი. ეს პროსტიტუციაა, მაგრამ ჩვენს თანამედროვე ინდუსტრიალიზირებულ საზოგადოებაში იგი ახალი სამოსით ირთვება და ახალ რეზონანსს იწვევს. დღეს მეძავები იწოდებიან «კოლ-გიორლზად» და «პარტი-გიორლზად». ისინი თანამედროვე არისტოკრატიას ეკუთვნიან თუმცა პირადად მათ მივცეთ სიტყვა. «კოლ-გიორლ № 7»:—მე ამ საქმეს 17 წლის ასაკში მოვკიდე ხელი. ამხანაგებთან ერთად დავდიოდი სხვადასხვა გასართობ ადგილებში. ვეცნობოდი საქმიან ადამიანებს, რომლებიც უანგარიშოდ ხარჯავდნენ ფულებს. იმ დროს ფული არ მაკლდა, მაგრამ ახლა ფული ჩემი შვილებისთვის მჭირდება.»

«კოლ-გიორლ № 2:» «—ჩემი კლიენტურა შედგება იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც ჩვენ «ჯონსებს» ვუწოდებთ. ესენი ის საქმოსნები არიან, რომლებიც გულუხვად იხდიან ფულს: 50 დოლარს მათთან გატარებულ ერთ საათში, 100 დოლარს 2 საათში»...

მეროუს მიერ ორგანიზებული ინტერვიუ სულ ერთ საათს გაგრძელდა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმის ნათელსაყოფად, თუ ცოცხალი საქონლით ვაჭრობის როგორი ახალი ფორმებია მსხვილი კომერციული ფირმების მმართველთა და აგრეთვე ნიუ-იორკის პატივცემული ქალბატონების პრაქტიკაში, რომელთა საქმიანობა ვითარდება და აყვავებას განიცდის.

ერთერთმა გამოსულმა «კოლ-გიორლმა» განაცხადა: «ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მნიშვნელოვანი ფინანსური მორიგების წინ საქმიანი კაცის . სულიერი განწყობილებისათვის «სქესობრივ ფაქტორს» გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აი, უკვე სამი წელია ამ დარგში ვმუშაობ. ასეთ კლიენტებთან გატარებული ყოველი ღამე ადასტურებდა, რომ მოცემული სისტემა გამართლებულია და ნამდვილად ხელს უწყობს წარმოების წარმატებას».

ამ «კოლ-გიორლის» განცხადება კომენტარებს არ საჭიროებს. თუმცა, უფრო ნათლად რომ დავახასიათოთ ასეთი სახის «კომერცია», უნდა დავუმატოთ, რომ მას მოაქვს უდიდესი მოგება, ფართოდაა რეკლამირებული, ყოველ საქმოსანს სთავაზობენ ილუსტრირებულ კატალოგს, რომლითაც მას შეუძლია დაწვრილებით გაეცნოს ახალგაზრდა ქალის ანატომიას.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა ამ ორგანიზებული პროსტიტუციის ფორმის შესახებ, რომელიც უფრო და უფრო იფურჩქნება დასავლეთის «ცხოვრების ახალი წესების», პირდაპირ ვთქვათ, ამერიკულის ჩარჩოებში. ცხოვრების ამგვარი ფორმის გავრცელება ხრწნის ადამიანის აზროვნებას, არყევს მის მორალურ და სულიერ საფუძველს. ფილმები, პორნოგრაფიული ჟურნალები, დანაშაულთა რეკლამა,—ყველაფერი ეს ადამიანის ღირსების შელახვის სხვადასხვა ფორმაა.

პროსტიტუციის აღკვეთის მიზნით მრავალი კანონი გამოვიდა. ამ საკითხზე შეაჩერა თავისი ყურადღება გაერთიანებული ერების გენერალურმა ასაბლეამ და 1949 წელს მიიღო სათანადო კონვენცია, რომელიც წარმოადგენდა ადამიანთა უფლების დაცვის საერთო-საკაცობრიო დეკლარაციის პირველ კონკრეტულ განხორციელებას.

პრეამბულა და თვით დეკლარციის მუხლები მხოლოდ გაკვრით კიცხავს ლეგალურ პროსტიტუციას, როგორც უკანონობას და მონობის ერთერთ ფორმას, რომელსაც მიჰყავს ქალი დისკრიმინაციამდე და ზიანს აყენებს ადამიანურ ღირსებებს. თუმცა, როგორც ეს ჩვენ ვნახეთ, ქალის გარყვნილების მეთოდებმა და მეძავთა ექსპლოატაციამ ახალი ხასიათი და ფორმა მიიღო, რომელსაც დადგენილების ვერც ერთ მუხლს ვერ მიუყენებთ.



«არისტოკრატების» გვერდით მეძავთა შორის ჩვენ ვხვდებით მათაც, ვინც გახდა სიღატაკისა და თეთრი ქალებით ვაჭრობის უსუსური მსხვერპლი... «ცოცხალი საქონლით» მოვაჭრენი ამ საქმიანობით დიდძალ მოგებას იღებენ.

სიღატაკე, სიმშილი, მცირე ხელფასი, უმუშევრობა, მძიმე საცხოვრებელი პირობები, შეზღუდულობა, უნებისყოფობა, სალი აზროვნებისა და ავ-კარგის გარჩევის უუნარობა, ხშირად ხელს უშლის ქალს გაექცეს ფულის ცდუნებას. ქალთა გარყვნილებას ხელს უწყობს აგრეთვე პრესის განსაკუთრებული სახე, რომელსაც დასავლეთში უწოდებენ «სიყვარულის პრესას», «სენსაციის პრესას».

მხოლოდ იქ, სადაც კანონით აღიარებულია ყოველი მოქალაქის უფლება შრომასა და გონებრივ დასვენებაზე და სადაც ხელისუფლების ორგანოები თვალყურს ადევნებენ ამ კანონების დაცვას, იქმნება პირობები პროსტიტუციის ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის. პროსტიტუციის პრობლემა არ არსებობს იქ, სადაც ახალგაზრდების სულიერი და ფიზიკური აღზრდა სახელმწიფოს პირველი რიგის ზრუნვის საგანს წარმოადგენს, სადაც ყველას შეუძლია მონახოს თავისი ადგილი ცხოვრებაში, მიიღოს სპეციალობა, სადაც ბავშვები ადრეული ასაკიდანვე სიხარულში ცხოვრობენ, გარემოსილნი არიან გულისხმიერებით და იზრდებიან მტკიცე ნებისყოფის ადამიანებად, თავიანთი ძალებისადმი რწმენით, სადაც სქესობრივი აღზრდა დაფუძნებელია, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე.

**ჟურნალიდან „ქენშჩინა მირა“**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სპორტი ძველ საბერძნეთში





ცნობილია, რომ ქალთა სპორტულ აღზრდას ძველი საბერძნეთის სახელმწიფოში ერთნაირი ყურადღება არ ექცეოდა. მაგალითად, მცირე აზიის სანაპიროებზე და იონიის მცხოვრებლებში, რომლებიც აღმოსავლეთის ძლიერ გავლენას განიცდიდნენ, ქალთა სპორტულ აღზრდას უგულვებელჰყოფდნენ. ქალთა მდგომარეობა ამ ტერიტორიაზე მძიმე იყო. გათხოვების შემდეგ ქალი კიდევ უფრო იჩაგრებოდა. მას ეკრძალებოდა არა მარტო ოლიმპიურ შეჯიბრებებზე დასწრება, არამედ საერთოდ დღესასწაულების დღეებში შეჯიბრების ტერიტორიაზე ყოფნაც კი. გათხოვილი ქალი, რომელიც ამ წესს დაარღვევდა, სიკვდილით ისჯებოდა—მას კლდიდან აგდებდნენ. ცნობილია მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა, როცა სპორტული მიღწევებით ცნობილი დიაგორიდების ოჯახის წარმომადგენელმა, ფერენიკამ, ქმრის დაკარგვის შემდეგ თავისი შვილი ჰისიდორა მიიყვანა ოლიმპიაში ჭაბუკთა კრივში მონაწილეობის მისაღებად, მოისურვა დასწრებოდა მის გამოსვლას სტადიონზე, გადაიცვა მამაკაცის ტანსაცმელი და თავი შვილის მწვრთნელად გამოაცხადა. როდესაც შვილმა გაიმარჯვა, იგი გახარებული გადაახტა მწვრთნელთა სამყოფელის მოაჯირს, და გაამჟღავნა თავი როგორც ქალმა. ოლიმპიური თამაშების მსაჯთა კოლეგიამ აპატია მას ეს დანაშაული მამის, ძმებისა და გამარჯვებული შვილის დამსახურებისა-

თვის. მაგრამ შემდეგში ანალოგიური შემთხვევა, რომ არ განმეორებულიყო, გამოიცა სპეციალური დადგენილება, რის შედეგადაც შეჯიბრების დროს მწვრთნელები გახდილები უნდა ყოფილიყვნენ.

ერთადერთი ქალი, რომელსაც უფლება ჰქონდა დასწრებოდა ოლიმპიის შეჯიბრებებს, იყო ქურუმი ქალი დემეტრი ხანიმე. მას დიდი დამსახურება მიუძღოდა სახელმწიფოს წინაშე, ამიტომ მას პატივისცემის ნიშნად თეთრი მარმარილოს ქვისგან ნაკეთები მუდმივი ადგილი მიუჩინეს.

იმ სახელმწიფოებში კი, სადაც ძლიერი იყო დორიული გავლენა, კერძოთ სპარტაში, თანაბრად ზრუნავდნენ როგორც მამაკაცების, ასევე ქალთა ფიზიკური განვითარებისათვის. სპარტაში ქალთა ფიზიკური აღზრდის მიზანი იყო მომავალი დედები ლამაზი და ჯანმრთელნი ყოფილიყვნენ და მათ ქვეყნისათვის ჯანსაღი თაობა მიეცათ. აქ ქალიშვილები ვარჯიშობდნენ სირბილში, შუბისა და ბადროს ტყორცნაში, ჭიდაობაში და მონაწილეობდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ისინი ვარჯიშობდნენ ღია ცის ქვეშ, თითქმის მთლიანად შიშველნი ან მსუბუქად ჩაცმულნი, როგორც ცალკე, ასევე ვაჟებთან ერთად.

ქალების მონაწილეობა ძალისმიერ და სამხედრო ვარჯიშებში სპარტანელების აზრით აუცილებელი არ იყო. იგი დაიშვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალის ორგანიზმი ფიზიკურ აღზრდამდე შეჩვეული იყო მნიშვნელოვან დატვირთვას და ეს ვარჯიშები მის ქალურ ბუნებას არ ეწინააღმდეგებოდა.

სპარტანელ ქალიშვილებს შეჯიბრების დროს ეცვათ ე. წ. ხიტონები (სურ. № 1). ხიტონი მხრებსა და მკლავებს ტოვებდა შიშველს, რაც თავისუფალი მოძრაობის საშუალებას აძლევდა ხელებს. ქვემოთ ხიტონი მუხლებზე ბევრად მაღლა თავდებოდა და გვერდზე გაჭრილი იყო, რომ მოვარჯიშეს განიერი ნაბიჯების გადადგმა და ხტომა არ გასჭირვებოდა.

მიუხედავად ქალთა სპორტული აღზრდის ასეთი აღიარებისა, ზოგიერთებს სამარცხვინოდ მიაჩნდათ ქალთა ნახევრადშიშველ მდგომარეობაში ვარჯიში. მაგალითად, პოეტი ივიკი, რომელიც თავის ლექსებში უმღეროდა ქალების ნებიერ და ნაზ ცხოვრებას, ზიზღით იხსენიებდა სპარტანელ მოვარჯიშე ქალიშვილებს და მათ «თეძოებგამოჩენილებს» უწოდებდა. სპარტის ძირითადი მოსახლეობა კი ქალების ასეთნაირ სიშიშვლეში ცუდს ვერაფერს ხედავდა. მათი აზრით მოვარჯიშე ქალიშვილები შიშველნი არასოდეს არ იყვნენ, რადგანაც მათ ფარავდა საზოგადოებრივი ზნეობა. თვით ქალებიც სიტიტვლეში არავითარ უხერხულობას არ გრძნობდნენ, პირიქით სიხარულით მონაწილეობდნენ შეჯიბრებებში სადაც ავლენდნენ თავიანთ ტანის სილამაზეს. იმდროინდელი ქალების სიტიტვლის საილუსტრაციოდ გამოდგება სურათი № 2, რომელიც აღებულია შავფიგურიანი სურის გამოსახულებიდან. იგი წარმოადგენს ჭიდაობის სცენას პელეასა და ატალატს შორის. სურათიდან გარკვევით ჩანს, რომ ქალის ჩასაცმელს სპორტის ამ სახეობაში დღევანდელი ნაქსოვი «ტრუსის» ფორმა ჰქონდა. საერთოდ, ქალის ტანის სილამაზეს რომ დიდი ყურადღება ექცეოდა, ამას ადასტურებს ე. წ. კალისტენიის დღესასწაულზე სპეციალურად ტანის სილამაზეზე ჩატარებული შეჯიბრებები, რაც ეწყობოდა გერეს ტაძარში.

საღმთო ოლიმპიურ შეჯიბრებებში ტრადიციულად იყო ქცეული გერეს სახელწოდებით ცნობილი.—ქალთა საკუთარი დღესასწაული, ამ დღესასწაულს განაგებდა 16 ქალი, რომელთა დამატებით მოვალეობას შეადგენდა ხუთ წელიწადში ერთხელ გერეს ქანდაკებისათვის გადასაფარი მოექსოვათ. აქ შეჯიბრება ტარდებოდა მხოლოდ რბენაში, რომლის მონაწილენი იყოფოდნენ სამ ასაკობრივ ჯგუფად. მათი საერთო სარბენი ბილიკის დისტანცია უტოლდებოდა 150 მეტრს. შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალი ღებულობდა ზეთისხილის ხისაგან დამზადებულ გვირგვინს და გერესათვის შეწირულ ხბოს ნაწილს, მასვე ენიჭებოდა უფლება მამაკაცებთან თანატოლად დაედგა თავისი ქანდაკება გერეს ტაძართან.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ქალთა შეჯიბრება ითვლებოდა დიდი ოლიმპიური შეჯიბრების პროტოტიპად და მამაკაცთა სპორტულ შეჯიბრებებს წინ უსწრებდა ქალთა სპორტული შეჯიბრებები.

ძველი საბერძნეთის ქალთა ფიზიკურმა განვითარებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ხელოვნებაში. მესამე სურათზე ნაჩვენებია ბერძნული ხელოვნების მიერ შექმნილი მებრძოლი ქალის ამაზონის სახე, რაც ფიზიკურად განვითარებული ქალის სიმბოლოს წარმოადგენს.

**ფ. რუსიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაოჭები

ნაოჭები კანის ერთერთი მთავარი დეფექტია. ის ჩნდება არა მარტო ხანში შესვლისას, არამედ ზოგჯერ ახალგაზრდობაშიც. ნაოჭების ნაადრევად გაჩენას მრავალი მიზეზი აქვს: ინფექციური და დამაუძლურებელი დაავადებანი, ნერვიული სისტემის მოშლა, სახის კანის დაავადება, რაც დაკავშირებულია ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციონალურ მოშლასთან, ქალური დაავადებანი, კუჭ-ნაწლავის დაავადება, ძლიერი სიგამხდრე, სისხლნაკლულობა, ცხოვრების ცუდი პირობები, არასწორი კვება და სხვ.

შინაგანი მიზეზების გარდა ნაოჭების წარმოშობას ხელს უწყობს: შუბლის შეჭმუხვნა, თვალების მოჭუტვა, მაღალ ბალიშზე ძილი (ამ დროს თავი ეყრდნობა გულმკერდს, რის შედეგად ჩნდება ნაოჭები კისერზე და ნიკაპზე). ნაოჭები ჩნდება აგრეთვე, მზეზე და ქარში დიდხანს ყოფნით ჰაერის სიმშრალისაგან, სახის ხშირი ბანვისაგან, განსაკუთრებით ხისტი (აუდუღარი) წყლით, ხშირად შეპუდვრისგან, კანის არასწორი მოვლის ან მოუვლელობისაგან.

ზოგიერთის აზრით, კანის მოვლა მხოლოდ ნაოჭების გაჩენის შემდეგ არის საჭირო. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. მოდუნებული კუნთების და კანის სასიცოცხლო მოქმედების გასაძლიერებლად საჭიროა სახის კანის სისტემატური და სწორი მოვლა.

პროფილაქტიკის მიზნით ბავშვობიდანვე უნდა აიკრძალოს სახის მანჭვა, კარგია მზეზე მზის საწინააღმდეგო სათვალეების ხმარება, სიბეცის დროს—კარგად მორგებული სათვალე.

სიბერის ნაოჭები ფიზიოლოგიური მოვლენაა. წლების განმავლობაში კუნთები დუნდება, კანი ჰკარგავს სიმკვრივეს და ელასტიურობას. ორმოცი წლის ასაკში ნაოჭების რაოდენობა მატულობს, ჩნდება წვრილი (ბატისფეხა) ნაოჭები თვალების კუთხეებში, ღრმავდება ნაკეცები ცხვირსა, ლოყებსა და ტუჩებს შორის, პირის კუთხეები დაბლა იწევს, იცვლება სახის ოვალი, ჩნდება ღაბაბი.

სიბერის ნაოჭებს სისტემატური მოვლა უნდა. ნაოჭიან სახეზე ძილის წინ თითების მსუბუქი დარტყმით წაისვით მკვებავი მალამო, პირველ ხანებში ორი წუთის განმავლობაში, შემდეგ ნელ-ნელა უმატეთ 5 წუთამდე. ზედმეტი მალამო მოიცილეთ ქაღალდის ხელსაწმენდით. თუ თვალებქვეშ შეშუპება გაქვთ, იმ ადგილზე ნუ დაიდებთ ღამის მალამოს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დილით რამდენიმე ფენა ტილოს ნაჭერი დაასველოთ ცივი ჩაის მაგარ ხსნარში, გაწუროთ და დაიდოთ ისე, რომ დაიფაროს თვალის ირგვლივი კუნთი, როცა საფენი გაშრება, ისევ დაასველეთ და დაიდეთ. ეს პროცედურა ჩაატარეთ 10-15 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ დარტყმითი მოძრაობით წაიცხეთ მკვებავი მალამო.

თუ კანი მოდუნებული და ნაოჭიანია, კარგ შედეგს იძლევა ცხელი კომპრესი, რომელიც შემდეგნაირად კეთდება: დაკეცეთ პირსახოცი 20-25 სანტიმეტრის სიგანით, დაასველეთ ცხელ წყალში, გაწურეთ და დაიდეთ სახეზე, ისე, რომ პირსახოცის შუა ნაწილი მოხვდეს ნიკაპქვეშ, ბოლოები კი შემოევლოს ლოყებს, შუბლს და ცხვირს. 2-3 წუთის შემდეგ კომპრესი შეიხსენით, შეისხით ბლომად ცივი წყალი და წაიცხეთ მალამო:—დღისით პუდრის ქვეშ სახმარი, ღამით—მკვებავი.

რეკომენდებულია სახის ცივი მარილიანი წყლით გასუფთავება (1 ჭიქა ადუღებულ ცივ წყალზე ნახევარი ჩაის კოვზი სუფრის მარილი), ამის შემდეგ წაიცხეთ: დღისით—ქვეშ სახმარი მალამო, ღამით—მკვებავი.

თუ მსუქანი ნიკაპი გაქვთ, კარგია ნიკაპზე თითების დარტყმითი მოძრაობის ჩატარება და ასეთი პროცედურის ჩატარებაც: პირსაწმენდის წვერი დაასველეთ 1 ჭიქა აღებულ ცივ წყალში, რომელშიც გახსნილია 1 სუფრის კოვზი მარილი და 1 სუფრის კოვზი სპირტი.

კარგ შედეგს იძლევა ნიკაპის ახვევა. ნიკაპზე უნდა წაისვათ მკვებავი მალამო, ფრთხილად აიხვიოთ ბინტით ან წინდის ყელით (არაკაპრონის), ისე, რომ თვალებქვეშ არ წარმოიშვას ნაოჭები. ასე შეიძლება გაიმეოროთ ყოველდღე 2-3 საათის განმავლობაში. სახის კანისა და კუნთების ტონუსის ასაწევად დიდი მნიშვნელობა აქვს სახის ნიღაბს და სახის ფიზკულტურას.

**ხ. სარაჯიშვილი**

# მოდური რჩევები

### ვარცხნილობა

შენმა მეგობარმა ბიჭურად შეიჭრა თმა, იგი მშვენივრად გამოიყურება. შენც გინდა მაშინვე მიბაძო მას. მაგრამ ვიდრე ამას გააკეთებდე, კრიტიკულად შეამოწმე შენი თავი სარკეში. თუ მსუქანი სახე გაქვს და ამავე დროს პატარა ტანისაც ხარ, ასეთი ვარცხნილობა შენ არ მოგიხდება. შენთვის ყველაზე კარგია ნახევრად გრძელი თმა. ოდნავ შუბლზე ჩამოშლილი თმა კი შენს სახეს მეტ მომხიბლაობას მიანიჭებს. სადად გადაწეული თმა მოგრძო სახეს უხდება, შენ კი მოგიხდება მსუბუქ ხვეულ ბად, ოდნავ მაღლა დაყენებული ვარცხნილი. გრძელ სახეს, პირიქით ასეთი ვარცხნილი არ მოუხდება.

გაითვალისწინე ერთი რამ: ვარცხნილი მარტო სახეს კი არა, მთელ გამოსახულებას უნდა უხდებოდეს. ამიტომ შენი თავი თავიდან ბოლომდე შეამოწმე სარკეში.

აუცილებელი არ არის მოდის მიხედვით შეიცვალო ვარცხნილი. თუ ძველი ვარცხნილი უფრო გიხდება, შეგიძლია მშვიდად ატარო. ეს უფრო მიუთითებს გემოვნებაზე, ვიდრე მოდაზე აყოლით თავის დამახინჯება.

### სწორი სიარულის შესახებ

სწორ სიარულზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ყველაზე ელეგანტური ჩაცმულობაც კი იჩრდილება, თუ ქალი სწორად არ დადის. საქვეყნოდ ცნობილი ფრანგი ქალის გრაციოზულობის საიდუმლოება მის მსუბუქ, მოქნილ სიარულში იმალება. სწორი სიარულის შესწავლა კი არც ისე ძნელი საქმეა.

უპირველეს ყოვლისა, ქალის ნაბიჯი მსუბუქი და მოქნილი უნდა იყოს, თავისუფალი და მოხდენილი. არ გადადგათ დიდი ნაბიჯები, ეს სინაზეს გიკარგავთ. სიარულის დროს ერთი ფეხი მეორის წინ უნდა გადადგათ, ისე, რომ სწორ ხაზს არ გადაცდეთ. ამავე დროს ფეხის წვერები ოდნავ, სულ ოდნავ გარეთ უნდა მიაქციოთ.

კარგ სიარულთან განუყრელია, რა თქმა უნდა, ტანის სწორად დაჭერა. არავითარ შემთხვევაში არ იაროთ თავჩაღუნულმა, მხრებში მოხრილმა. იარეთ ლაღად, თავისუფლად, სწორად, მოქნილად.

სიარული ისე უნდა გამოიმუშაოთ, რომ ხელოვნება არ გეტყობოდეთ, თორემ ყველა ამ წესის შესრულებითაც კი შეიძლება სასაცილო გამოჩნდეთ.

### საბანაო კოსტუმი

საბანაო კოსტუმის შერჩევა ისევე მნიშვნელოვანია ქალისათვის, როგორც თუნდაც საღამოს კაბისა. თუ თქვენ მსუქანი ტანი გაქვთ, არ გირჩევთ გადაჭრილი საბანაო კოსტუმის ჩაცმას. ასეთი კოსტუმი ამოკლებს და ამსხვილებს ტანს. თქვენთვის კარგია მთლიანი, არც თუ ძალიან შემოსხეპილი კოსტუმი. ასევე უმჯობესია მუქი ფერის შერჩევა. გამხდრებისათვის კი, პირიქით, კარგია ჭრელი ან ღია ფერის გადაჭრილი საბანაო კოსტუმი. საბანაო სანდლებისა და ქუდის ფერი უნდა შეეფერებოდეს კოსტუმის ფერს.

### სახლშიც გამოიყურებოდეთ მოხდენილად

ქალი სახლშიც მოხდენილი უნდა იყოს. რაგინდ დატვირთულიც უნდა იყოთ საოჯახო საქმით, საკუთარი თავისთვის მაინც უნდა მოიცალოთ. უბრალოდ, სახეზე ცივი წყლის შესხმაც კი დაგიბრუნებთ დაღლილობისგან დაკარგულ ფერს.

ჩვეულებრივ ქალები სთვლიან, რომ რადგან სახლში არავინ უყურებთ, შეიძლება თავის გარეგნობას ყურადღება არ მიაქციონ. ამ დროს სათვალავში არ იღებენ მეუღლეს და ბავშვებს. პირიქით! სწორედ სახლში უნდა გამოიყურებოდეს ქალი მოხდენილად და ამასთანვე თავს თავისუფლად უნდა გრძნობდეს, რომ ტანსაცმელი საქმეში არ უშლიდეს ხელს. ლამაზი წინსაფარი იცავს ტანსაცმელს და ამავე დროს მომხიბლავობას მატებს დიასახლისს.

ნუ ივლით სახლში გადასაგდებად გამზადებული ფეხსაცმელებით. აუცილებლად შეიძინეთ სახლისათვის უბრალო, მაგრამ მოხდენილი ქოშები. ნუ გასწევთ საშინაო ტანსაცმელზე ეკონომიას!

თარგმნა დალი კოკაიამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიასახლისის დასახმარებლად

# ჭურჭელს სისუფთავე უყვარს

სუფთა ჭურჭელი მეტ ხანსაც ძლებს და სახმარადაც სასიამოვნოა. ყოველგვარ ჭურჭელს გულმოდგინე მოვლა ესაჭიროება.

*ალუმინის ჭურჭელი* სილით იწმინდება. ამ ჭურჭელს გარეგანი ბრწყინვა რომ აღუდგინოთ, გაწმინდეთ დანაყილი ცარცით ან კბილის ფხვნილით. სოდით, ნაცრით, ნიშადურის სპირტით და სხვა ტუტოვანი ნივთიერებით ალუმინის ჭურჭლის გაწმენდა რეკომენდებული არ არის.

*მომინანქრებული ჭურჭელი* უფრო მეტ ხანს გემსახურებათ, თუ ხმარებამდე მასში წყალს წამოადუღებთ და გააცივებთ. ეს გამოაწრთობს მინანქრის ზედაპირს. თუ მომინანქრებულმა ჭურჭელმა კერძი მიიწვა, წამოადუღეთ მასში სოდიანი წყალი. ამის შემდეგ მიმწვარი კერძი ადვილად სცილდება ჭურჭლის გვერდებსა და ძირს.

*ცხიმიანი ჭურჭელი* ადვილად ირეცხება ოდნავ ძმრიანი წყლით ან წყალში გახსნილი მდოგვით.

*თუჯის ჭურჭელს* ჟანგი შეგიძლიათ მოაცილოთ მარილმჟავას სუსტი ხსნარით. თუჯის ჭურჭელი ჯერ გაწმინდეთ სილით, შემდეგ კი გარეცხეთ სოდიანი წყლით.

*თუჯის ახალმა ჭურჭელმა* ძირზე რომ არ მიიწვას, მასში ჩაყარეთ ერთი მუჭა მარილი და გაახურეთ დიდ ცეცხლზე. როცა მარილი გაყავისფრდება, ჭურჭელი ცეცხლიდან გადმოდგით და ამავე მარილით გაწმინდეთ. შემდეგ წაუსვით ზეთი და კიდევ ერთხელ გაახურეთ.

*თუ ლითონის საცერი* ჯაგრისით ვერ გაწმინდეთ, რამდენიმე წუთით მიუშვირეთ ცეცხლს, შემდეგ კი გარეცხეთ.

*ხორცის საკეპი მანქანა* ადვილად გაირეცხება, თუ ხორცის შემდეგ მასში უმ გაფცქვნილ კარტოფილს გაატარებთ.

*თიხის ჭურჭელი* (განსაკუთრებით ჭიქურის ფენით დაფარული) ხმარების წინ აუცილებლად უნდა გამოხარშოთ წყალში, რომელშიც ჩაუმატებთ ძმარს და მარილს.

*ჭურჭლის კედლებს და ძირს* ნალექი ასე უნდა მოაცილოთ: ჭურჭელში ჩაასხით სოდის ხსნარი (ერთი ჩაის კოვზი სარეცხის სოდა ერთ ჭიქა წყალზე) და იქამდე ადუღეთ, სანამ ნალექი არ დარბილდება. ამის შემდეგ ის ადვილად მოცილდება ჯაგრისით ან ხის ჩხირით. შეიძლება აგრეთვე ჭურჭელში წამოადუღოთ ძმრიანი წყალი (4—5 სუფრის კოვზი ძმარი ერთ ლიტრ წყალზე). კიდევ ერთი ხერხია გავრცელებული ნალექის მოსაცილებლად: ჭურჭელში ადუღებენ კარტოფილის გარეცხილ ნაფცქვენებს.

*ჭუჭყიანი მინის ჭურჭელი* გარეცხეთ სოდით, ნაცრით, ძმრით, დანაყილი ნახშირით. წყლის სურები და ბოთლები კარგად ირეცხება წვრილად დანაკუწებული ქაღალდით ან უმი კარტოფილის ნაფცქვენებით. ესენი ჩაყარეთ ბოთლში, დაასხით წყალი, კარგად შეანჯღრიეთ, მერე კი სუფთა წყალი გამოავლეთ.

*რძიანი ჭურჭელი* უნდა გაირეცხოს ჯაგრისით—ჯერ ცივი, და მერე კი ცხელი წყლით.

*მინის ჭურჭელმა* რომ კრიალი დაიწყოს, იგი უნდა გარეცხოთ თბილი მარილიანი წყლით.

*ძალიან გაჭუჭყიანებული ბოთლები* (ზეთიანი, ნავთიანი და სხვა) კარგად ირეცხება ცხელი წყლით, თუ შიგ ჩავუმატებთ ცოტა სარეცხის სოდას და წვრილ ქვიშას.

მდუღარე წყალმა ჩასხმისას *რომ ბოთლი არ გახეთქოს*, იგი უნდა დადგათ მდუღარეგადასხმულ თეფშზე ან შემოახვიოთ ცხელ წყალში დასველებული ნაჭერი.

*ჭურჭელი, რომელშიც რძეს ინახავთ*, უნდა გარეცხოთ სოდიანი წყლით, განსაკუთრებით გულდაგულ გარეცხეთ თავსახური.

*ახალი ჭიქები* რომ არ დასკდეს, ცივ წყლიან ქვაბში ჩააწყვეთ და დადგით ძალიან ნელ ცეცხლზე. როცა წყალი ადუღდება, ქვაბი გადმოდგით და ჭიქები წყალის გაცივებამდე დატოვეთ შიგ. ასევე გამოაწრთეთ ლამფის შუშები.

*სუფრის ჭურჭელს გარეცხვამდე* მოაცილეთ საჭმლის ნარჩენები. გარეცხვის დროს არ დაიშუროთ ცხელი წყალი და სოდა, გარეცხეთ ჭურჭელი ღრუბლით ან სპეციალური ჯაგრისით. ცომიანი ან კვერცხიანი ჭურჭელი ჯერ ცივი წყლით გარეცხეთ, შემდეგ კი ცხელით.

# საზამთროდ შესანახი საწებლები

*(დიასახლისის გამოცდილებიდან)*

## წითელი ტყემლის საწებელი

6 კილოგრამი ახლადდაკრეფილი მწიფე წითელი ტყემალი გაარჩიეთ, გარეცხეთ, ჩაყარეთ ალუმინის ქვაბში დადგით ზომიერ ცეცხლზე და ხშირად ურიეთ. როცა კარგად გათბება, მოაცილეთ კურკები და ხარშეთ ნახევარი საათის განმავლობაში. მერე გადმოდგით, გააგრილეთ. კანის მოსაცილებლად გაატარეთ საწურში და მეორე დილამდე შეინახეთ ფაიფურის, მინის ან მომინანქრებულ ჭურჭელში. ჭურჭელი ამოტეხილი არსად არ უნდა იყოს. 500 გრამი ქინძი, 250 გრამი კამა, 200 გრამი ომბალო, 200 გრამი ნიორი, 150—150 გრამი ნიახური, ოხრახუში და ქონდარი (ყველა მწვანილი უნდა იყოს დაყვავილებული) გარეცხეთ და შეინახეთ რათა კარგად გაშრეს, მეორე დღეს ყველაფერი ეს დანაყეთ მარილთან და წიწაკასთან ერთად (წიწაკა უყავით გემოვნებით) და შეაზავეთ ტყემალი. შემდეგ ჩაასხით ბოთლებში, ზემოდან მოასხით ზეთი, დაუცეთ ახალი საცობი, მოუკარით თავი გასანთლული ქაღალდით და შეინახეთ ცივ ადგილას.

ასეთივე წესით შეიძლება მოამზადოთ მწიფე ღოღნაშოს საწებელი და შერეული საწებელიც—2 წილი ყვითელი ტყემლისა და ერთი წილი ღოღნაშოსაგან.

## შინდის საწებელი

6 კილოგრამი მწიფე შინდი გაარჩიეთ, გარეცხეთ, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით წყალი ისე, რომ ნახევრად ფარავდეს და ხარშეთ, სანამ დარბილდება, ამასთან ხშირად ურიეთ. შემდეგ გახეხეთ საწურში. დანაყეთ 300 გრამი ქინძი, 150 გრამი კამა, 100 გრამი ნიორი. უყავით გემოვნებით მარილი და შეკაზმეთ მოხარშული შინდი. გაგრილების შემდეგ ბოთლებში ჩაასხით და მჭიდროდ თავდაცობილი შეინახეთ გრილ ადგილას.

## ტყლაპისა და კვაწარახის დამზადება

გაარჩიეთ 6 კილოგრამი ტყემალი, გარეცხეთ, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი და ერთ საათს ადუღეთ ნელ ცეცხლზე, ხარშვის დროს არ აურიოთ. როცა მოიხარშება, გადაიღეთ საწურზე. წვენი ცალკე შეინახეთ. ტყემალი გახეხეთ და დაასხით სუფთა გასალაშინებულ ფიცარზე სქელ ფენად, მისივე ნახარშ წვენში დაისველეთ ხელი და თანაბრად გაასწორეთ. შემდეგ გადგით მზეზე და კარგად გააშრეთ, გადააბრუნეთ დანით და გადაუსვით ისევ წვენში დასველებული ხელი. როცა ორივე პირი გაშრება, აიღეთ, ორივე მხრიდან გადაუსვით თავისივე წვენი და გადაკიდეთ მრგვალ ჯოხზე მზეზე გასაშრობად, ასე გაიმეორეთ 2—3-ჯერ. როცა კარგად გაშრება, შეინახეთ მშრალ ადგილას.

ტყლაპის დამზადებას ის უპირატესობა აქვს, რომ კარგად ინახება და წასაღებადაც ადვილია. როცა საწებელი მოგეს ურვებათ, შეგიძლიათ დაალბოთ, გამოხადოთ და ტყემლის საწებლით შეკაზმოთ.

კვაწარახის მისაღებად მორჩენილი წვენი ადუღეთ არანაკლებ ორი საათისა. შემდეგ უყავით ხმელი ქინძი, კამა, ომბალო, წიწაკა, ნიორი (გემოვნებით) და შეინახეთ ბოთლებში.

ასევე დამზადდება ღოღნაშოსა და შინდის ტყლაპი და კვაწარახი.

წვენს, რომელსაც კვაწარახისათვის ვიყენებთ, შეიძლება უყოთ შაქარი, ადუღოთ და შეინახოთ ბოთლებში კისელისათვის, თათარასათვის.

## მაყვლის საწებელი

ახლადდაკრეფილი მწიფე მაყვალი გაარჩიეთ, გარეცხეთ ფრთხილად, მოათავსეთ საწურზე, რომ წყლისაგან დაიწრიტოს, შემდეგ დასრისეთ ხელით და გახეხეთ საცერში. მიღებული წვენი შეკაზმეთ ქინძით, ომბალოთი, კამით და მარილით გემოვნების მიხედვით.

დიასახლისი **ოლია ბრეგვაძე**




### ქათმის ან ვარიის ჩახოხბილი

გასუფთავებული, ცივ წყალში გარეცხილი ქათამი ან ვარია ასო-ასოდ დაჭერით, გარეცხეთ და ქვაბში მოშუშეთ. მერე მოაყარეთ ძალიან წვრილად დაჭრილი 4-5 თავი ხახვი და ერთად კარგად მოხრაკეთ.

1 1/2 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 3-4 ძირი ქინძი, 2-3 კბილი ნიორი, 4-5 ძირი ქონდარი, გემოვნებით—წიწაკა და მარილი კარგად დანაყეთ, დაუმატეთ გემოვნებით ძმარი (სეზონის მიხედვით ძმრის მაგიერ შეიძლება პამიდორი უყოთ), გახსენით ადუღებულ წყალში, დაასხით მოშუშულ ქათამს (წვენი ქათამს კარგად უნდა ფარავდეს) და ხარშეთ 15-20 წუთი.

### შინაური ფრინველის ხორცი ბაჟით

გასუფთავებული, გარეცხილი შინაური ფრინველი (ინდაური, ქათამი, ვარია, წიწილი) შეწვით შამფურზე ან ღუმელში (წიწილის შეწვა კარგია კეცზე).

2 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 3-4 ძირი ქინძი, 3-4 კბილი ნიორი, გემოვნებით წიწაკა, მარილი და ზაფრანა ერთად კარგად დანაყეთ და ზეთი გამოხადეთ. ნიგვზიან მასას შეურიეთ-კიდევ 1 ჩაის კოვზი დანაყილი ზაფრანა, გახსენით 2-3 ჭიქა ადუღებულ წყალში, დაუმატეთ გემოვნების მიხედვით ძმარი ან ბროწეულის წვენი ანდა ძმარნარევი ბროწეულის წვენი.

შემწვარი ფრინველი ასო-ასოდ დაჭერით, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელში, დაასხით გამზადებული ნიგვზიანი წვენი, ზემოდან მოასხით გამოხდილი ზეთი. თუ ბაჟა ბროწეულის წვენით დამზადდა, მაშინ ზემოდან მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

### მოხრაკული შიგნეული

ღორის შიგნეული გაასუფთავეთ, ნაწლავები ჩამდინარე წყალზე გარეცხეთ. მერე შუაზე გაჭერით სიგრძით და კიდევ კარგად გარეცხეთ. გარეცხილ ნაწლავებს დააყარეთ სუფრის მარილი, კარგად წმინდეთ და წყლით რეცხეთ, მერე გარეცხეთ სიმინდის ფქვილით და წყლით, ბოლოს ისევ წყლით. გარეცხილი ნაწლავები ქვაბში ჩაყარეთ, დაასხით ცივი წყალი; ერთი ორი წამოდუღების შემდეგ წყალი გადაღვარეთ. ნაწლავებს დაუმატეთ გარეცხილი შიგნეული—გული, თირკმელი, დაასხით მდუღარე წყალი და მოხარშეთ.

წვრილად დაჭერით ხახვი, დაუმატეთ ღორის ქონი, ჩაყარეთ სუფთა ქვაბში და კარგად მოშუშეთ.

წიწაკა, მარილი, ქინძი, ქონდარი კარგად დანაყეთ და ცოტა ძმარში აურიეთ. მოხრაკული შიგნეული ცხელ-ცხელი დაჭერით, გამზადებულ სანელებელში აურიეთ, მოათავსეთ ხახვიან ქვაბში, მოურიეთ, ქვაბს სახურავი დაახურეთ და ცეცხლზე გააჩერეთ ხუთი ათი წუთი, რომ ორთქლში თანაბრად დაიბუღოს. სუფრაზე ცხელ-ცხელი მიიტანეთ.

### მწვანე ლობიო პამიდვრით და ნიგვზით

დარჩეული, ნაწილ-ნაწილ დატეხილი და გარეცხილი მწვანე ლობიო ჩვეულებრივი წესით მოხარშეთ ისე, რომ სითხე სულ შეიშროს. დაჭერით 1 კგ პამიდორი, მწვანე ლობიოს დაასხით, წამოდუღდება თუ არა დაუმატეთ ერთად დანაყილი 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 3-4 კბილი ნიორი, 1-2 ძირი ქინძი, გემოვნებით—წიწაკა და მარილი, მერე დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 3-4 თავი ხახვი, 3 ძირი ოხრახუში, 5-6 ძირი რეჰანი, აურიეთ და ხარშეთ, სანამ არ შესქელდება, რასაც დასჭირდება დაახლოებით ათი-ხუთმეტი წუთი.

### ბოლოკის ფოთლის მხალი

გადარჩეულ, გარეცხილ 1 კგ ბოლოკის ფოთოლს დაასხით ცოტა მდუღარე წყალი და მოხარშეთ. მოხარშული ფოთოლი შეაგრილეთ და მერე ხელით გაწურეთ.

1 1/2 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 ძირი ქინძი, 3-4 კბილი ნიორი, გემოვნების მიხედვით—წიწაკა და მარილი ერთად კარგად დანაყეთ, თან ზეთი გამოხადეთ. დანაყილ მასას დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 3-4 ძირი ქინძი, ძალიან წვრილად დაჭრილი 2-3 თავი ხახვი, ძმარი (გემოვნებით) და კარგად აურიეთ მოხარშულ ბოლოკის ფოთოლში. გამზადებული მხალი შესაფერ ჭურჭელზე მოათავსეთ და ზემოდან მოასხით ნიგვზიდან გამოხდილი ზეთი.

### ელარჯი

2 ჩაის ჭიქა სიმინდის ღერღილს დაასხით ათი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, დადგით ცეცხლზე და სუთის მორევით ხარშეთ, სანამ ღერღილი კარგად არ ჩაიხარშება (რასაც ადუღების მომენტიდან დასჭირდება დაახლოებით 70-80 წუთი). მერე თანდათანობით დაუმატეთ ერთი ჩაის ჭიქა სიმინდის ფქვილი და თან სუთით ურიეთ, ჩაზილეთ და ასე მორევით შუშეთ ნელ ცეცხლზე 30-40 წუთი. ამის შემდეგ ქვაბი გადმოდგით ცეცხლიდან, ჩაყარეთ შიგ ხელით დაფშვნილი ან თხელ ნაჭრებად დაჭრილი 1 კგ ოდნავ მარილიანი ჭყინტი სულგუნი, სუთით კარგად ჩაზილეთ და დადგით ნელ ცეცხლზე. როცა ყველი კარგად ჩაიხარშება, ელარჯი მზად იქნება.

გარეკანზე—გუდამაყრის ხეობა

მხატვარი ნატალია ფალავანდიშვილი

რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი,
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VII-59 წ. ქაღალდის ზომა 60×92. საავტ. ფორმ. რაოდ. 3,5.

რედაქციის მისამართი. სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 900. უე 03935

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

# ლამაზად ჩაცმა სახლში











„ჟურნალ მოდიდან“



2471
ეროვნული ბიბლიოთეკა
1160
39